⁴⁶ სავაჭრო ნიშნების შესახებ კანონის 14 VI პარაგრაფი ვინც სხვის უფლებას არღვევს განზრახ ან გაუფრთხილებლობით, ვალდებულია სასაქონლო ნიშნის მფლობელს აუნაზღაუროს ამ ქმედებით გამოწვეული ზიანი. ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ის მოგება, რომელიც დამრღვევმა უფლების დარღვევის შედეგად მიიღო. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება ასევე გამოითვალოს იმ თანხის საფუძველზე, რომელიც დამრღვევს უნდა გადაეხადა როგორც შესაბამისი და გონივრული ანაზღაურება, თუ იგი სასაქონლო ნიშნის გამოყენების ნებართვას წინასწარ მოიპოვებდა.

⁴⁷ BGH, Urteil vom 26. Februar 2013 - XI ZR 345/10 - ZfSch 2013, 406, juris Rn. 54; BGH, Urteil vom 29. Juni 2010 - KZR 31/08 - GRUR Int 2011, 16, juris Rn. 47; OLG Köln, Urteil vom 6. Februar 2024 - I-15 U 314/19 - K&R 2024, 426, juris Rn. 321 ff.; Raue in: Teplitzky/Peifer/Leistner, UWG, 3. Auflage, § 9 UWG, Rn. 101.

⁴⁸ BGH, Urteil vom 16. Dezember 2021 - I ZR 201/20 - GRUR 2022, 229, juris Rn. 87; BGH, Urteil vom 24. Juli 2012 - X ZR 51/11 - GRUR 2012, 1226, juris Rn. 16.

⁴⁹ BGH, Urteil vom 16. Dezember 2021 - I ZR 201/20 - GRUR 2022, 229, juris Rn. 87; BGH, Urteil vom 2. November 2000 - I ZR 246/98 - GRUR 2001, 329, juris Rn 24.

⁵⁰ BGH, Urteil vom 16. Dezember 2021 - I ZR 201/20 - GRUR 2022, 229, juris Rn. 87; BGH, Urteil vom 14. Mai 2009 - I ZR 98/06 - GRUR 2009, 856, juris Rn. 76.

⁵¹ BGH, Urteil vom 2. November 2000 - I ZR 246/98 - GRUR 2001, 329, juris Rn 24.

(2) ლიცენზიის ანალოგია (*Lizenzanalogie*)

ალტერნატიულად, დაზარალებულს შეუძლია, ე.წ. ლიცენზიის ანალოგიის გზით, ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვოს ლიცენზიის მოპოვების ის ხარჯები, რომელსაც თავად მიიღებდა ბაზარზე შესაბამისი ლიცენზიის გაცემით. ბაზრის დაბნეულობით გამოწვეული ზიანი (*Marktverwirrungsschaden*) შეიძლება (ისევე როგორც დამრღვევის მოგების დაზარალებულისათვის გადაცემის შემთხვევაში) დამატებით იქნას გათვალისწინებული.⁵²

ლიცენზიის ანალოგიის პრინციპებით ზიანის გაანგარიშებისას გადამწყვეტია, თუ რა გონივრულ ანაზღაურებაზე შეთანხმდებოდნენ ლიცენზიის ხელშეკრულების დადებისას შესაბამისი მხარეები, არამატერიალური უფლების გამოყენებისთვის. შესაბამისად, გადამწყვეტია, თვითნებურად მითვისებული უფლებამოსილების ობიექტური ღირებულება (მისი გამოყენების შესაძლებლობის ხელშეკრულების გზით მოპოვებისას), ანუ შესაბამისი და ჩვეულებრივი სალიცენზიო გადასახადი.⁵³ ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, ყველა ის გარემოება, რომლებსაც თავისუფალი სალიცენზიო მოლაპარაკებების დროსაც ექნებოდათ გავლენა ანაზღაურების ოდენობაზე.⁵⁴

ლიცენზიის ანალოგიით ზიანის დაანგარიშება გულისხმობს, რომ ექსკლუზიურ - რომელიც ამ შემთხვევაში მიითვისა დამრღვევმა - უფლებაზე ლიცენზიების გაცემა ბიზნეს ბრუნვაში (ზოგადად) ჩვეულებრივ უნდა პრაქტიკად უნდა ითვლებოდეს; გადამწყვეტი არ არის კონკრეტულად იმ დარგის პრაქტიკა.⁵⁵ ასევე, აბსტრაქტული დაანგარიშების მეთოდიდან გამომდინა-

რე, არ აქვს მნიშვნელობა, მართლზომიერი ქცევის შემთხვევაში, რეალურად გასცემდა თუ არა უფლებამოსილი პირი, კონკრეტულ შემთხვევაში, შესაბამის ლიცენზიას.⁵⁶ თუმცა ამ მეთოდის მიხედვით გამოთვლა გამორიცხულია, თუ არამატერიალური უფლების მფლობელის (მაგალითად, მისი საზოგადოებრივი-სასარგებლო ხასიათიდან გამომდინარე) მუდმივი სალიცენზიო პრაქტიკაა, ლიცენზიებს მხოლოდ უსასყიდლო გაცემა.⁵⁷

ლიცენზიის ანალოგიით ზიანის დაანგარიშება წარმოადგენს სარგებლობის უფლებების ხელყოფისას აბსტრაქტული/ნორმატიული ზიანის გაანგარიშების ერთ-ერთ შემთხვევას.⁵⁸ შესაბამისად, იგი თავსდება ზიანის ანაზღაურების სამართლის იმ პრინციპის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც, ზიანის ანაზღაურების სამართლის მიზანია, ქონებრივი დანაკლისის აღმოფხვრა და არა თუნდაც სამართალდამრღვევის დასჯა. ამ მეთოდსაც საფუძვლად უდევს თეზა, რომ ჩვეულებრივი სალიცენზიო გადასახადი გამოსატანად არამატერიალური უფლების ეკონომიკურ გამოყენებით ღირებულებას და რომ ეს გამოყენებითი ღირებულება სამართალდარღვევით იქნა ჩამორთმეული.

ბბ) „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონის“ ნორმების დარღვევა

სასამართლო პრაქტიკა მოცემულ პრინციპებს კონკურენციის სამართლის ნორმების დარღვევით (§ 9 UWG) გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებზე მხოლოდ გამონაკლისის სახით ავრცელებს.

ზიანის დაანგარიშების მოცემული მეთოდი აღიარებულია მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც

⁵² BGH, Urteil vom 16. Dezember 2021 - I ZR 201/20 - GRUR 2022, 229, juris Rn. 85; BGH, Urteil vom 22. September 2021 - I ZR 20/21 - GRUR 2022, 82, juris Rn. 30.

⁵³ BGH, Urteil vom 22. September 2021 - I ZR 20/21 - GRUR 2022, 82, juris Rn. 13; BGH, Urteil vom 18. Juni 2020 - I ZR 93/19 - GRUR 2020, 990, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 29. Juli 2009 - I ZR 169/07 - GRUR 2010, 239, juris Rn. 20.

⁵⁴ BGH, Urteil vom 22. September 2021 - I ZR 20/21 - GRUR 2022, 82, juris Rn. 14.

⁵⁵ BGH, Urteil vom 16. Dezember 2021 - I ZR 201/20 - GRUR 2022, 229, juris Rn. 81; BGH, Urteil vom 23. Juni 2005 - I ZR 263/02 - GRUR 2006, 143, juris Rn. 23.

⁵⁶ BGH, Urteil vom 23. Juni 2005 - I ZR 263/02 - GRUR 2006, 143, juris Rn. 22.

⁵⁷ BGH, Urteil vom 16. Dezember 2021 - I ZR 201/20 - GRUR 2022, 229, juris Rn. 82.

⁵⁸ შდრ. BGH, Urteil vom 23. Juni 2005 - I ZR 263/02 - GRUR 2006, 143, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 22. März 1990 - I ZR 59/88 - GRUR 1990, 1008, juris Rn. 20.

ესეა არამატერიალური უფლებებით დაცული ნაწარმოების კონკურენციის სამართლის დარღვევით განხორციელებულ მიბაძვას (*wettbewerbswidrige Nachahmung*) - კონკურენციის სამართალში აღიარებული ე.წ. მიბაძვისაგან დამატებითი დაცვის (*ergänzender wettbewerbsrechtlicher Nachahmungsschutz*) ფარგლებში. ეს ეფუძნება იმას, რომ კონკურენციულსამართლებრივი დაცვა არამატერიალური უფლებების შესახებ კანონში არსებულ დაცვის მექანიზმებს ავსებს კონკურენციულსამართლებრივი მიბაძვის აკრძალვით (ადრე მოიხსენიებოდა როგორც „მონური მიბაძვა“ - „*sklavische Nachahmung*“)⁵⁹ და რომ ამ სიახლოვის გამო მიზანშეწონილია ზიანის დადგენის მეთოდებიც ანალოგიურად იყოს კონსტრუირებული. მიბაძვისაგან კონკურენციულსამართლებრივი დაცვის საგანი (§ 4 Nr. 3 UWG)⁶⁰ არის მხოლოდ საქონლისა და მომსახურებების კონკრეტული ფორმის/დიზაინის დაცვა და არა მის უკან მდგომი აბსტრაქტული იდეა.⁶¹

ანალოგიურად, გერმანული სასამართლო პრაქტიკა ასევე უშვებს ზიანის დადგენას ლიცენზიის ანალოგიის საფუძველზე იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს საწარმოო საიდუმლოს არაკეთილსინდისიერ გამოყენებას, რომელიც დაზარალებულ კონკურენტს არამატერიალურ უფლებებთან მიახლოებულ სამართლებრივ პოზიციას ანიჭებს (მაგალითად, ინოვაციური ტექნიკური გადაწყვეტები, „ორიგინალური ნამუშევრები“ ან „გამოგონებები“).⁶² ეს გამართლებულია იმით, რომ მსგავსი საწარმოო საიდუმლოებები (თუნდაც ისინი ჯერ კიდევ არ ექვემდებარებოდეს პატენტსა ან საა-

ვტორო უფლებას) ავლენენ სიახლოვეს არამატერიალური უფლებების დაცვის სფეროსთან და, შესაბამისად, მიზანშეწონილია მათ დარღვევაზე გამოყენებული ზიანის დაანგარიშების მეთოდების გავრცელება კონკურენციის სამართალში აღიარებული, ნაწარმოების დაცვის (*Leistungsschutz*) შემთხვევებზეც.

გგ) ბაზრის ცნება და ბაზრის სეგმენტიზაციის არგუმენტი

როგორც, ამას გერმანული სასამართლო ადგენს და რაც ისედაც სრულებით ლოგიკურია, „ბაზარი“ მიუღებელი შემოსავლის, როგორც ზიანის გამოთვლის კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ ნიშას, მაგ., კონკრეტული სუნამოს მომხმარებელს და არა ამ და კიდევ ყველა სხვა მსგავსი სუნამოთი დაინტერესებულ პირებს. ბაზარი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოს დგას მოვაჭრე პროდუქტის მწარმოებელთან.

თუ, მაგალითად, კონკრეტული პროდუქტის პირველადი მიმწოდებლის ნიშა, ეჭირა კონკურენტს, რომელიც დამრღვევმა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გზით სრულებით გააღწია, სრულად გადაიბირა უკვე არსებული კლიენტურა და ამავდროულად ახალი კლიენტურაც არაკეთილსინდისიერ კონკურენტთან მიიზიდა. ის ვერ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ კონკურენტი მაინც დარჩა „ბაზარზე“, როგორც მეორადი მიმწოდებელი, რადგან „პირველადი მიწოდების ბაზარი“ და „მეორადი მიწოდების ბაზარი“ ეს ორი სხვადასხვა ბაზარია (ნიშა). დამრღვევს კონკურენტი ასევე მეორადი მიწოდების ბაზრიდანაც რომ გაეძევებინა –

⁵⁹ შდრ. Spoenle in: Seichter, jurisPK-UWG, 5. Aufl., § 4 Nr. 3 UWG (Stand: 06.01.2025, Rn. 12).

⁶⁰ § 4, კონკურენტის დაცვა(არაკეთილსინდისიერი კონკურენცია).

არაკეთილსინდისიერად მოქმედებს ის პირი, ვინც ... სთავაზობს საქონელს ან მომსახურებას, რომლებიც წარმოადგენს კონკურენტის საქონლის ან მომსახურების იმიტაციას (მიბაძვას), იმ შემთხვევაში, თუ იგი ა) იწვევს მყიდველთა შეცდომაში შეყვანას საქონლის ან მომსახურების საწარმოო/კომერციული წარმომავლობის შესახებ და ეს შეცდომა სხვა შემთხვევაში თავიდან აცილებადი იყო; ბ) არათანაზომიერად იყენებს ან აზი-

ანებს იმიტირებული საქონლის ან მომსახურების რეპუტაციასა და ბრენდის სახელს; გ) იმიტაციისთვის აუცილებელი ცოდნა ან დოკუმენტაცია მოიპოვა არაკეთილსინდისიერი გზით.

⁶¹ BGH, Urteil vom 7. Dezember 2023 - I ZR 126/22 - GRUR 2024, 139, juris Rn. 23; BGH, Urteil vom 4. Mai 2016 - I ZR 58/14 - GRUR 2017, 79, juris Rn. 71.

⁶² შდრ. BGH, Urteil vom 29. Juni 2010 - KZR 31/08 - GRUR Int 2011, 165, juris Rn. 47; BGH, Beschluss vom 19. März 2008 - I ZR 225/06 - WRP 2008, 938, juris Rn. 6; BGH, Urteil vom 18. Februar 1977 - I ZR 112/75 - GRUR 1977, 539, juris Rn. 41.

მაგ., თავად მიმწოდებელმა პროდუქცია საბოლოო დისტრიბუტორისათვის (და მეორადი მიმწოდებლის მოგებაც თავად მიიღო) – ეს ცალკე დასაანგარიშებელი ზიანი იქნებოდა და კიდევ უფრო გაზრდიდა განდევნილი კონკურენტის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლებს. დამრღვევი ვერ მიუთითებს, რომ მოსარჩელეს „რალაც მაინც დარჩა“, რადგან ეს „რალაც“ არ არის პირველადი მიმწოდებლის ბაზრიდან მოგება.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანის დადგენისას, მოქმედებს „ბაზრის“ ვიწრო ცნება – „ბაზარი“ გულისხმობს კონკრეტული პროდუქციის მომხმარებელს, მიწო-

დების ჯაჭვის კონკრეტულ რგოლს და არა ზოგადად რაიმე გვარეობითი პროდუქციით (მაგ., პარფიუმერიით) ვაჭრობას. ის ფაქტი, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შედეგად დაზარალებული კომპანია სრულად კი არ გაკოტრდა, არამედ სხვა სეგმენტზე (ბაზარზე) გადაერთო, მაგ., მეორადი მიმწოდებლის ნიშა დაიჭირა, არ ამცირებს მისი ზიანის ოდენობას: თუ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გარეშე ეს მეორადი მიმწოდებლის ბაზარი საერთოდ არ იარსებებდა და როგორც „პირველადი“ ისე „მეორადი“ მიმწოდებლის შემოსავალი დაზარალებული კომპანიის მოგებაში გაერთიანდებოდა.

„ემოჯი“ სამართლის წინაშე – ციფრული სიმბოლოები სამართალში

ქეთევან კვინიკაძე

სამართლის დოქტორი, თსუ-ის მონვეული ლექტორი, ადვოკატი

ანოტაცია

ციფრულ სიმბოლოებს ქართულ სამართალში ჯერ თამამად არ შემოუბიჯებია. ჩვენს რეალობაში, ემოჯიები მხოლოდ ციფრული კომუნიკაციის უწყინარი ნაწილებია, რომლებსაც სერიოზულადაც კი არ აღვიქვამთ, თუმცა ეს ყველგან ასე არ არის. კალიფორნიის სანტა კლარას უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი და ინტერნეტ სამართლის ექსპერტი ერიკ გოლდმანი უკვე წლებია რაც ემოჯიებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებს იკვლევს. ის აქტიურად მართავს მის მიერ შექმნილ ტექნოლოგიებისა და მარკეტინგის სამართლის ბლოგს¹, სადაც თავმოყრილია ემოჯიებთან დაკავშირებით სასამართლოების პრაქტიკა. ციფრული სიმბოლოები უკვე სამეცნიერო კვლევის საგანიც გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ ეტაპზე ქართული სამართლისთვის ემოჯიების ინტერპრეტაციის საკითხი ნაკლებად რელევანტურია, ვფიქრობ, მაინც საინტერესოა, ციფრულ სიმბოლოებთან დაკავშირებული საქმეების მიმოხილვით, გავეცნოთ სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. რა ვიცით, იქნებ ოდესმე, ქართველ იურისტებსაც მოგვინოს ციფრული სიმბოლოების სიღრმისეული სამართლებრივი შეფასება.

საკვანძო სიტყვები: ციფრული სიმბოლო, ემოჯი, ნების გამოვლენა.

I. შესავალი

დიჯიტალურ ეპოქაში ემოჯიები ფაქტობრივად ლინგვა-ფრანკად იქცა. დღეისათვის ისინი ციფრული კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილია, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ნელ-ნელა სამართლის სფეროსკენაც მიიკვლევენ გზას.² მოცემულ ეტაპზე ციფრული სიმბოლოების სამართლებრივი ინტერპრეტაციის საკითხი ქართული სამართლისთვის ნაკლებად რელევანტურია, თუმცა ის ფაქტი, რომ ამ პატარა სიმბოლოებმა უკვე შეაღწიეს არაერთი ქვეყნის

სასამართლო დარბაზში, თავისთავად, უკვე საინტერესო მოვლენაა. მნიშვნელობა არ აქვს, ვიღებთ თუ არა ახლა ემოჯიებს სერიოზულად, შესაძლოა შორეულ მომავალში მაინც, მათ ქართველი იურისტებისგანაც მოითხოვონ უფრო მეტი ყურადღება. წინამდებარე სტატია წარმოადგენს მცდელობას, გავეცნოთ უცხო ქვეყნების სასამართლოების მიდგომას ემოჯის კომუნიკაციურ ფენომენთან დაკავშირებით. ზოგადად, ემოჯიების გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები ფაქტობრი-

¹ იხ. <<https://blog.ericgoldman.org/>> [12/09/2025].

² Pendl, Emojis im (Privat-) Recht, 2022 Mohr Siebeck, 1.

ვად ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც თავად ეს სიმბოლოები.³ არაკომერციული ორგანიზაცია - „Unicode Consortium“, რომელიც მართავს უნივერსალურ ტექსტურ კოდირების სისტემას სახელწოდებით „Unicode“, 2021 წლის მდგომარეობით ითვლიდა ზუსტად 3633 განსხვავებულ ემოჯის სიმბოლოს.⁴ სასამართლოების მიერ ემოჯიების ინტერპრეტაცია ნამდვილად არ არის მარტივი საქმე, რადგან ემოჯიები არავერბალური ფორმით არსებობენ. დროთა განმავლობაში ადამიანებმა ამ სიმბოლოებს (ან მათ ერთობლიობას) განსხვავებული შინაარსი მიანიჭეს, რამაც კიდევ უფრო რთული გახადა ემოჯის ერთგვაროვანი შინაარსის დადგენა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში, ვიზუალური ფორმით, თავად ემოჯიებიც ტოვებენ ამბივალენტურ შეგრძნებას. ცალკე აღებულ ემოჯის შესაძლოა არ შესწევდეს ძალა, უტყუარ მტკიცებულებად იქნეს აღიარებული, თუმცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ის უკვე არაერთ საქმეში გახდა სამართლებრივი შეფასების საგანი. ციფრული სიმბოლოები მრავალგვარია. წინამდებარე სტატია შეეხება კონკრეტულად ემოჯიებს, რომლებიც ციფრულ კომუნიკაციაში ყველაზე დომინირებულ გრაფიკულ სიმბოლოებს წარმოადგენენ, რის გამოც გამართლებულია, რომ სამართლებრივი ანალიზის ცენტრში სწორედ ეს ციფრული პიქტოგრამები მოვაქციოთ.⁵

II. ციფრული სიმბოლოების სახეები

1. „ემოტიკონი“ („Emoticon“)

ემოტიკონი არის ტექსტის საშუალებით გამოსახული სახის გამომეტყველება. ის არის ინგლისური წარმოშობის სიტყვა და არის შეერთებული ფორმა სიტყვებისა: **Emotion** (ემოცია) + **Icon** (ხატულა, სიმბოლო).⁶ ციფრული კომუნიკაციის ყველაზე ცნობილი სიმბოლოების

ნუსხა ქრონოლოგიური თვალსაზრისით იწყება ემოტიკონებით, რომლებიც ემოჯიებთან შედარებით უფრო მარტივია. ემოტიკონის განმარტებას 2000 წლიდან ვხვდებით გერმანიის ოფიციალურ მართლწერის ლექსიკონშიც, სადაც ემოტიკონი განმარტებულია, როგორც სხვადასხვა სიმბოლოების კომბინაცია, რომლებიც კლავიატურაზეა ხელმისაწვდომი და რომელთა დახმარებითაც შესაძლოა გრძნობების გამოხატვა.⁷ ემოტიკონებია: ღიმილიანი სახე :-); სევდიანი სახე :-(; გაოცებული სახე - :O; თვალის ჩაკერა - ;-).

2. ემოჯი („Emoji“)

ემოტიკონებისგან განსხვავებით, ემოჯიები არ წარმოადგენენ ასოებისა და პუნქტუაციის ნიშნების ერთობლიობას, არამედ ისინი არიან ფერადი პიქტოგრამები ან იდეოგრამები. ემოჯი, როგორც ტერმინი და ასევე როგორც ფენომენი, იაპონიიდან მოდის.⁸ აშშ-ს სასამართლოები ხშირად ციტირებენ თავიანთ გადანყვეტილებებში Merriam-Webster-ის ლექსიკონში არსებულ ემოჯის განმარტებას: „ემოჯი - ეს არის ნებისმიერი მცირე გამოსახულება, სიმბოლო ან ხატულა, რომელიც გამოიყენება ელექტრონული კომუნიკაციის ტექსტულ ველებში იმისთვის, რომ გადმოიცეს ავტორის ემოციური განწყობა; გადმოიცეს ინფორმაცია მოკლედ და ლაკონურად, რათა შესაძლებელი გახდეს შეტყობინება სიტყვების გამოყენების გარეშე.“⁹ „Unicode Consortium“, რომელიც მთელ მსოფლიოში ემოჯიების სტანდარტიზაციას უზრუნველყოფს, გვთავაზობს ემოჯის შემდეგ განმარტებას: „ემოჯი არის პიქტოგრამები (გრაფიკული სიმბოლოები), რომლებიც, როგორც წესი, ფერად ფორმაში გამოისახება და ტექსტში ხაზის გასწვრივ გამოიყენება. ისინი გამოხატავენ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა სახეები, ამინდი, ტრანსპორტი, შენობები, საკვები და სასმელი, ცხოველები და მცენარეები ან გამოხატავენ

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

⁶ Goldman, Emojis and the Law, 93 Wash. L. Rev. (2018), 1237.

⁷ Pendl, Emojis im (Privat-) Recht, 2022 Mohr Siebeck, 7.

⁸ Goldman, Emojis and the Law, 93 Wash. L. Rev. (2018), 1231.

⁹ Pendl, Emojis im (Privat-) Recht, 2022 Mohr Siebeck, 8.

ემოციებს, გრძნობებს ან საქმიანობას. კომპიუტერისთვის ისინი უბრალოდ კიდევ ერთი სიმბოლოა, მაგრამ ხალხი ყოველდღიურად მილიარდობით ემოჯის გზავნის, რათა გამოხატონ სიყვარული, მადლიერება, მილოცვა ან ათასნაირი სხვა აზრი, რაც კი შეიძლება თავში დაეხადოთ.¹⁰

3. ანიმირებული ემოჯი, ანიმოჯი და მემოჯი („Animated Emojis“, „Animojis“, „Memoji“)

ციფრული სიმბოლოები ყოველდღიურად უფრო და უფრო მრავალფეროვანი და დახვეწილი ხდება. თანდათან გაჩნდა გრაფიკულ სიმბოლოთა მოძრაობის კომპონენტებიც, რისი მეშვეობითაც ემოცია თუ მოქმედება კიდევ უფრო ზუსტად გადმოიცემა, რაც წესით, ადრესატის მიერ მოსაუბრის ემოციური მდგომარეობის აღქმას უნდა აადვილებდეს. ანიმაციური ემოჯი არის ემოჯი, რომელიც მხოლოდ ერთი მოქმედებით შემოიფარგლება, მაგალითად, შეუძლია გაგიღიმოს ან თვალი ჩაგიკრას. ანიმოჯიც ანიმაციური ემოჯია, თუმცა ის პერსონალიზირებულია, ანუ იმეორებს იმ მომხმარებლის სახის მოძრაობებს, ვინც მას იყენებს. მემოჯი კი ამ ფუნქციონალის გაფართოებული ვარიანტია - მომხმარებელს შეუძლია შექმნას პერსონალიზირებული ავატარი, რომელიც ძალიან ჰგავს მისი საკუთარი სახის გამოსახულებას.¹¹

4. კაომოჯი („Kaomoji“)

ე.წ. კაომოჯიები ჩვენს სივრცეში ნაკლებად არის ცნობილი. მათი სამშობლოა იაპონია და მიუხედავად იმისა, რომ ისინი ემოტიკონების იაპონურ ვერსიას წარმოადგენენ, მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან დასავლური ნათესავებისგან. კაომოჯიები იაპონური დამწერლობის და სიმბოლოების გამო ემოციათა გა-

მოხატვის შედარებით რთულ ფორმას წარმოადგენენ, რის გამოც ციფრულ საკომუნიკაციო სივრცეში მათ ფაქტობრივად საერთოდ ვერ ვხდებით. კაომოჯიებია მაგალითად: (‘∩_∩’), რაც გამოხატავს სიყვარულს; ♪(●_●)♪ ან (∩_∩), რაც გამოხატავს სიხარულს, (π_π) ან (↑_↑), რაც გამოიყენება სევდის ან მოწყენის აღსანიშნავად, ზ••? სიმბოლო აღნიშნავს დათვს, V•••V სიმბოლო კი - ძაღლს.¹² მოცემული სიმბოლოები საკმაოდ მოუქნელია ემოციის ციფრულად სწრაფი გადაცემისათვის, შესაბამისად, დღეისათვის კაომოჯიები ნაკლები პოპულარულობით სარგებლობენ.

III. როგორ ლაპარაკობს ციფრული სიმბოლო?

ემოჯიები ახალი ონლაინ-კულტურაა. მიუხედავად იმისა, რომ ემოჯის ვიზუალიზაცია მისი შინაარსის აღქმის შესაძლებლობას იძლევა, ეს შინაარსი ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი არ არის. ამის გამო, რთული ხდება მათი ინტერპრეტაცია და იმის დადგენა, თუ რის გამოხატვას ცდილობდა გამგზავნი ამ კონკრეტული სიმბოლოთი. „Unicode Consortium“-ის შეხედულებით, ემოჯიებს ასეთი გაორებული მნიშვნელობა შესაძლოა მიზანმიმართულადაც კი ჰქონდეთ ჩაშენებული.¹³ ასეთი ამბივალენტობა ასახულია კიდეც Unicode-ის ტექნიკურ სტანდარტში, სადაც მითითებულია: „ემოჯიებს შესაძლოა თან ახლდეს ორაზროვნება, რაც გზავნილის ისეთს ხდის, რომ ავტორს ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა ემოციის გამონვევა შეუძლია. ბევრ ადამიანს იზიდავს კიდეც ეს გამოწვევა, რაც ემოჯიებით გზავნილების შედგენასა და მათი მნიშვნელობის ამოხსნაში მდგომარეობს.“¹⁴

ემოჯიებმა თანდათან ევფემიზნების¹⁵ მნიშვნელობაც შეიძინა, მაგალითად, ბადრიჯნის ემოჯი 🍆 ფაქტობრივად საერთოდ აღარ ატარებს მის ბუნებრივ მნიშვნელობას და აღიქმება როგორც ფალოსური ნიშანი ან ატმის ემოჯი 🍌,

¹⁰ იქვე.

¹¹ იქვე, 10-11.

¹² იქვე, 12.

¹³ იქვე, 4.

¹⁴ იქვე.

¹⁵ ევფემიზმი არის ლინგვისტური ხერხი, რომლის დახმარებითაც რაღაც სოციალურად უხეში და არაკორექტული მოვლენა უფრო რბილი და შენეილებული ფორმით გადმოიცემა. იხ. *Goldman, Emojis and the Law, WASHINGTON LAW REVIEW* [Vol. 93:1227 2018], 1252, 1254.

რომელიც უკვე ადამიანის უკანა ტანის სიმბოლოურ გამოსახულებად დამკვიდრდა;¹⁶ ფეკალური სიმბოლო 🍌 კანადელების მიერ გამოიყენება მსოფლიოში არსებული საერთო საშინელი მდგომარეობის აღსანერად.¹⁷ ემოჯიები ასევე ხშირად გამოიყენება მეტონიმების მნიშვნელობითაც.¹⁸ მაგალითად, თვალეზე ხელაფარებული მაიმუნის სიმბოლო 🙈 გამოხატავს რეალობის განზრახ უგულებელყოფას და სიმართლის მიუღებლობას.¹⁹ ამ ემოჯის სახელია „See No Evil“, რაც ითარგმნება, როგორც „ვერ ვხედავ ბოროტებას.“ აღნიშნული ემოჯი გახდა ერთ-ერთი მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ინგლისელი ფეხბურთელი დამნაშავედ ცნეს წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანთან სექსობრივ კავშირში.²⁰ ზოგიერთ შემთხვევაში, ემოჯიების მეტონიმური მნიშვნელობის გაგება შესაბამისი კულტურული თავისებურების ცოდნასაც მოითხოვს. ამის გარეშე ადრესატს გაუჭირდება, გამოიცნოს თუ რისი გამოხატვა სურს მოსაუბრეს ემოჯით. მაგალითად, ბანკის ემოჯი 🏧 იაპონელების მიერ გამო-

იყენება პასუხისმგებლობისგან თავის არიდების სიმბოლოდ. ზოგიერთ სოციალურ პლატფორმაზე აღნიშნულ ემოჯზე მითითებულია „BK“, რაც იაპონურ სლენგში („Bakkureru“) ნიშნავს პასუხისმგებლობისგან გაქცევას.²¹

ემოჯის მეტონიმური მნიშვნელობისგან უნდა განვასხვავოთ შემთხვევა, როცა კონკრეტული ემოჯი, მიუხედავად ვიზუალიზაციით ერთმნიშვნელოვნად გამოხატული ემოციისა, ადამიანთა უმეტესი ნაწილის ვირტუალურ საკომუნიკაციო ცხოვრებაში მის კლასიკურ მნიშვნელობას მაინც არ ატარებს. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი სმაილის ემოჯი 😊 ყოველთვის ნამდვილად არ გამოიყენება ბედნიერების ღიმილის სიმბოლოდ. ის ხშირად გამოიყენება სარკაზმის ან გაბრაზების, წყენის დასაფარავად.²² ამდენად, ემოჯის განმარტებისათვის, საჭიროა, რომ სასამართლომ „მოუსმინოს“ და „გაუგოს“ ემოჯის, რისთვისაც მას სჭირდება გაითვალისწინოს ემოჯის ავტორის ასაკობრივი, კულტურული, ემოციური, ინტელექტუალური და სხვა ასპექტები.

¹⁶ საქმეში *Mosley v. Preston Cycles West, LLC*, No. 19-3937, 2021 WL 4815901 (N.D. Ga. July 30, 2021) სამსახურში ზედამხედველმა მის დაქვემდებარეში მყოფ თანამშრომელს გაუგზავნა ბადრიჯნის 🍆, ატმის 🍌, თეფშის (დანა-ჩანგლით) 🍴 და წყლის წვეთების 💧 ემოჯიები. ყველა ეს ემოჯი ორმაგი მნიშვნელობისაა და მიზნად ისახავს ინტიმური შინაარსის თემის წინ წამოწევის, თუმცა მოცემულ საქმეში სასამართლომ ჩათვალა, რომ მიუხედავად ემოჯიების ორაზროვანი მნიშვნელობისა, ქმედება არ ქმნიდა სექსუალური შევიწროების დანაშაულის შემადგენლობას. იხ. *Graham, Emojis: An Approach to Interpretation*, 46 UC LAW SF COMM. & ENT. L.J. (2024), 130. ასევე იხ. *Pendl, Emojis im (Privat) Recht*, 2022 Mohr Siebeck, 95.

¹⁷ *Goldman, Emojis and the Law*, WASHINGTON LAW REVIEW [Vol. 93:1227 2018], 1252.

¹⁸ მეტონიმი არის ენობრივი და სტილისტური ხერხი, როცა რაღაცის აღსანიშნავად გამოიყენება სხვა სიტყვა ან გამონათქვამი, რომელიც მჭიდრო კავშირშია მასთან, თუმცა პირდაპირ მას არ ნიშნავს. მაგალითად, „თეთრი სახლი“ არის მეტონიმი, რომელიც მიუთითებს, რომ მოსაუბრე გულისხმობს აშშ-ს პრეზიდენტს. იხ. *Goldman, Emojis and the Law*, WASHINGTON LAW REVIEW [Vol. 93:1227 2018], 1252.

¹⁹ *Goldman, Emojis and the Law*, WASHINGTON LAW REVIEW [Vol. 93:1227 2018], 1252.

²⁰ საქმეში *Regina v. Adam Johnson* ბრალდებულმა დაზარალებულს გაუგზავნა შეტყობინება მსგავსი შინაარსით: „შენ ნოემბრამდე 16 წლის არ ხდები?“ და დაამატა 🙈 ემოჯი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ამ ემოჯის შინაარსზე. ბრალდებული აღნიშნავდა, რომ ამ ემოჯიში არანაირი დამალული აზრი არ ყოფილა, მაგრამ სასამართლომ სხვა მტკიცებულებების გათვალისწინებით, ის შეაფასა როგორც ბრალდებულის მხრიდან შესაძლო ცოდნა იმისა, რომ დაზარალებული არასრულწლოვანი იყო, თუმცა ამის მიუხედავად ბრალდებულმა მაინც გააგრძელა მასთან კომუნიკაცია, იხ. *Speed, Adam Johnson and the see-no-evil monkey: what happens when emojis turn up in court?*

<<https://www.newstatesman.com/science-tech/2016/03/adam-johnson-and-see-no-evil-monkey-what-happens-when-emojis-turn>> [22/09/2025]. მაიმუნის თვალეზე ხელაფარებული ემოჯი, მის მონათესავე ემოჯიებთან ერთად (ყურებზე ხელაფარებული და პირზე ხელაფარებული მაიმუნის სიმბოლოები) უკავშირდება იაპონურ კულტურაში არსებულ „სამი ბრძენი მაიმუნი“-ს კონვენციურ სიმბოლოს, რომლის მიხედვითაც, თვალეზე ხელაფარებული მაიმუნის სიმბოლო ითარგმნება შემდეგნაირად: „თუ ვერ ვხედავ, ე.ი. არც არსებობს“, იხ. იქვე.

²¹ *Goldman, Emojis and the Law*, WASHINGTON LAW REVIEW [Vol. 93:1227 2018], 1253.

²² იქვე.

IV. ემოჯიები სასამართლო პრაქტიკაში

1. ემოჯიები სახელშეკრულებო დავებში

1.1. როცა ემოჯი „ხელს აწერს“ ანუ ემოჯი, როგორც აქცეპტი

South West Terminal Ltd. v. Achter Land & Cattle Ltd., 2023 SKKB 116 საქმე არის ემოჯიების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საქმე. საქმის ფაბულა იყო შემდეგი: SWT-სა და Achter Ltd-ს შორის არსებობდა საქმიანი კავშირი, რომლის ფარგლებშიც 2012 წლიდან მოყოლებული, SWT Achter Ltd-სგან ყიდულობდა მარცვლეულს. 2021 წლის მარტის თვეში, SWT-ს წარმომადგენელმა გაუგზავნა ტექსტური შეტყობინება Achter Ltd-ს და გამოხატა ინტერესი კონკრეტული მარცვლეული კულტურის შეძენასთან დაკავშირებით. მოგვიანებით, SWT-ს წარმომადგენელმა მოამზადა ხელშეკრულების პროექტი, სადაც განერილი იყო თუ რა ვადაში და რამდენი ტონა მარცვლეულის მიწოდება უნდა განეხორციელებინა მისთვის Achter Ltd-ს (მიწოდების ვადად დათქმული იყო ნოემბერი). SWT-ს წარმომადგენელმა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, გადაუღო ფოტო და გაუგზავნა Achter Ltd-ს წარმომადგენელს წარწერით: „გთხოვ, დაადასტურე მარცვლეულის ნასყიდობის კონტრაქტი“ („Please confirm flax contract.“). Achter Ltd-ს წარმომადგენელმა მობილურიდან პასუხად გაუგზავნა „👍“ ემოჯი. საბოლოოდ, Achter Ltd არ მიუწოდებია SWT-სთვის საქონელი, ნოემბრის თვეში კი მარცვლეულის ფასიც გაიზარდა, რაც სასამართლო დავის საგანი გახდა. SWT-ს მტკიცებით, „👍“ ემოჯი წარმოადგენდა ხელშეკრულების დადასტურებას, ხოლო მოპასუხე მხარე კი ამტკიცებდა, რომ ამ ემოჯით მან მხოლოდ ელ. საკომუნიკაციო საშუალებით ხელშეკრულების მიღების ფაქტი დაადასტურა და არა მისი შინაარსი, შესაბამისად, მოპასუხე მხარე თვლიდა, რომ ხელშეკრულება არ დადებულა, რადგან მას ხელშეკრულების შინაარსზე არ განუცხადებია თანხმობა. Achter Ltd-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ არ შეიძლებოდა ემოჯი ციფრულ ხელმოწერად აღქმულიყო. მოპასუხის თქმით, მას არ ჰქონდა იმდენი დრო, რომ

გასცნობოდა კონტრაქტს და ემოჯის გაგზავნით მან უბრალოდ ხელშეკრულების ტექსტის მიღების ფაქტი დაუდასტურა მხარეს.

გადაწყვეტილების განხილვისას, სასამართლო დაეყრდნო ტესტს, რომელიც დადგენილია კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში — *Ethiopian Orthodox Tewahedo Church of Canada St. Mary Cathedral v. Aga*, 2021 SCC 22. ამ ტესტის თანახმად, უნდა შეფასდეს, იარსებებდა თუ არა საშუალო გონიერი მესამე პირისთვის საფუძველი იმის დასაჯერებლად, რომ მხარეებს შორის ხელშეკრულება დაიდო. სასამართლომ აღნიშნული ტესტი გამოიყენა მხარეთა წარსული სახელშეკრულებო პრაქტიკის კონტექსტში, რომელიც ხშირად ხორციელდებოდა ტექსტური შეტყობინებებით. ჩვეულებრივ, SWT უგზავნიდა ხოლმე Achter Ltd-ს ხელშეკრულების ფოტოს და ითხოვდა დადასტურებას, რაზეც მხარე პასუხობდა ხოლმე შემდეგი ფრაზებით: „looks good“, „ok“ ან „yup“. ამგვარად შეთანხმების შემდგომ, მხარეები ყოველთვის ასრულებდნენ შეთანხმებულ ვალდებულებებს. ამ ტესტის გამოყენებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა წარსული სახელშეკრულებო პრაქტიკიდან გამომდინარე, საშუალო გონიერი მესამე პირი ჩათვლიდა, რომ ემოჯი „👍“ ნიშნავდა ხელშეკრულებაზე დათანხმებას.

აღნიშნულ საქმეში სასამართლომ გამოიყენა საქონლის ყიდვა-გაყიდვის აქტი (*The Sale of Goods Act (Saskatchewan) - „SGA“*), რომელიც განსაზღვრავს, რომ \$50-ზე მეტი ღირებულების საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, იმისთვის, რომ აღსრულებადი იყოს. სასამართლომ დაასკვნა, რომ Achter Ltd-ის წარმომადგენლის მიერ მობილურიდან გაგზავნილი „👍“ ემოჯი აკმაყოფილებდა SGA-ს მიერ დადგენილ მოთხოვნას და შეაფასა, როგორც ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. გარდა ამისა, ელექტრონული ინფორმაციისა და დოკუმენტების აქტის (*Electronic Information and Documents Act, Saskatchewan - „EIDA“*) მე-18 მუხლის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ „👍“ ემოჯი წარმოადგენს „ელექტრონულ ფორმაში გამოხატულ ქმედებას“, რაც შეიძლება გამოყენებულ

იქნას თანხმობის გამოსახატავად, ისევე როგორც, „ვეთანხმები“ ლილაკზე ხელის დაჭერა, რომელიც გამოიყენება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით ხელშეკრულების მხარის მიერ სტანდარტული პირობების მიხედვად.

გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა: „სასამართლოს არ შეუძლია და ის არც უნდა შეეცადოს, რომ ტექნოლოგიური პროგრესისა და საერთო ცხოვრებისეული პრაქტიკის წინააღმდეგ წავიდეს. კანადური საზოგადოების და სასამართლოების ახალი რეალობა მოითხოვს მზადყოფნას იმ გამონეგებისთვის, რომლებიც შესაძლოა ემოჯიების ან სხვა მსგავსი სიმბოლოების გამოყენებით წარმოიშვას.“ მაგალითად, ბრიტანეთის კოლუმბიის (ვიქტორია) სასამართლომ *Blom v. Blom, 2021 BCSC 18* საქმეში იმსჯელა თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს ემოჯიებს ხელშეკრულების განმარტებასა და მხარეთა ნამდვილი ნების დადგენაში.“ საბოლოოდ, მოცემულ საქმეში *Achter Ltd-ს* *SWT-ს* სასარგებლოდ დაეკისრა 61 442 დოლარის გადახდა შეუსრულებელი კონტრაქტის გამო.²³

1.2. ემოჯი, როგორც „ბრალი“ წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში (c.i.c.)

Dahan v Shacharoff, 30823-08-16, Herzliya Small Claims Court, 2017 საქმეში გამქირავებელმა იფიქრა, რომ წყვილი ბინას აუცილებლად დაიქირავებდა, რისი რწმენაც შეექმნა მიმონერის დროს მისთვის გაგზავნილი ემოჯიების საფუძველზე. საბოლოოდ, მხარეთა შორის ხელშეკრულება არ დადებულა, რის გამოც ბინის მეპატრონემ სარჩელი წარადგინა სასამართლოში და განაცხადა, რომ მას ხელშეკრულების დადების მოლოდინი ჰქონდა, ეყრდნობოდა რა

წყვილის მიერ გამოგზავნილ მთელ რიგ ემოჯიებს, რაც მისი აზრით, ქირავნობაზე თანხმობად აღიქმებოდა. მართალია სასამართლომ არ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის წარმოიშვა სახელშეკრულებო კავშირი, თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ წყვილი არ მოქმედებდა კეთილსინდისიერად, რადგან მათ მიერ გაგზავნილმა ემოჯიების სერიამ მეორე მხარეს შეუქმნა ნდობის საფუძველი, რის გამოც ბინის მეპატრონეს მიაჩნდა ზიანის ანაზღაურების უფლება (მოპასუხეებს დაეკისრა 2 200 დოლარის ანაზღაურება).²⁴ სმაილის 😊, შამპანურის ბოთლის 🍾 და ცეკვის ემოჯიებმა 🕺 დიდი იმედები გამოიწვია მოსარჩელეში, რომ წყვილი მის ბინას იქირავებდა, შესაბამისად, მან ბინა გაქირავების ბაზრიდან სხვა პოტენციური დამქირავებლებისთვის „მოხსნა“. მოსარჩელეს მოპასუხეების მხრიდან ეს სმაილები გაეგზავნა არაერთხელ, მათ შორის იმ დროსაც, როცა ქირავნობის პერიოდი მოახლოვდა, რამაც მოსარჩელე დაარწმუნა იმაში, რომ ყველაფერი რიგზე იყო. დამქირავებლებს არ შეუტყობინებიათ მოსარჩელე მხარისთვის, რომ მათ გადაიფიქრეს ბინის დაქირავება, ისინი უსიტყვოდ გაქრნენ, რაც სასამართლოს მიერ შეფასდა როგორც არაკეთილსინდისიერი ქცევა.²⁵

1.3. „ემოჯის“ ნების გამოვლენად მიჩნევასთან დაკავშირებით

ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ჯ. სომერი აღნიშნავს: „კიბერსივრცე - ეს არის შესანიშნავი ახალი მოედანი ძველი თამაშებისთვის.“²⁶ თანამედროვე ტექნოლოგიები ყოველდღიურად ვითარდება, რაც ციფრული რევოლუციის პირობებში, სამართლის შესაბამის ადაპტაციასაც ითხოვს. ხელშეკრულება იდება ოფერტის და აქცეპტის მეშვეობით. ოფერტი შესაძლოა გა-

²³ იხ. *Maksimow, International Update (Canada) – South West Terminal Ltd. v Achter Land & Cattle Ltd* <<https://www.aciclaw.org/news/2024/international-update-canada-south-west-terminal-ltd-v-achter-land-cattle-ltd/>> [03/09/2025].

²⁴ *Goldman, Emojis and the Law, 93 Wash. L. Rev. 1227, 1267 & 1268 (2018).*

²⁵ იხ. *Rosana, Towards Precision: Resolving the Interpretive Ambiguities of Emojis as Evidence, 27-28,* <https://www.kenyalaw.org/kl/fileadmin/Download_Journal/Resolving-the-Interpretive-Ambiguities-of-Emojis-Christopher-Rosana.pdf> [03/09/2025].

²⁶ გაბისონია, ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, თბ., 2022, 130.

ნხორციელდეს ზეპირადაც. იმისათვის, რომ ხელშეკრულების დადების შესახებ შეთავაზება ჩაითვალოს ოფერტად, საჭიროა, ის მიმართული იყოს კონკრეტული პირისადმი, ჰქონდეს საკმარისად განსაზღვრული ხასიათი და შეიცავდეს ოფერენტის ბოჭვის ნებას, ანუ ოფერენტის მზადყოფნას, რომ აქცეპტის შემთხვევაში შეიბოჭოს თავი ხელშეკრულების პირობებით.²⁷ ოფერტის შინაარსი უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ აქცეპტი უბრალო „დიახ“ პასუხის მეშვეობით განხორციელდეს.²⁸ ზოგიერთ შემთხვევაში აქცეპტი შესაძლოა განხორციელდეს დუმილითაც და ე.წ. კონკლუდენტური მოქმედებითაც. დუმილის ნების გამოვლენად კვალიფიკაციისთვის საჭიროა, მხარეთა შორის არსებობდეს საქმიანი ურთიერთობები. რაც შეეხება კონკლუდენტურ ქცევას, ამ შემთხვევაში ნების გამოვლენა გამომდინარეობს პირის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებიდან, რა დროსაც ეს მოქმედება წარმოადგენს მინიშნებას მის ნებაზე.²⁹ მაშასადამე, ამ ორ შემთხვევაში არ არის საჭირო რაიმეს თქმა, იმისათვის, რომ ხელშეკრულება დადებულად ჩაითვალოს. ყოველდღიური ცხოვრებისეული სახელშეკრულებო პრაქტიკის გათვალისწინებით, ურთიერთობათა გამარტივების მიზნით, კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, გამართლებულია დუმილისა და კონკლუდენტური ქცევის ნების გამოვლენად მიჩნევა. ამ გზით სამართლებრივი ურთიერთობები თავისუფლდება ზედმეტი უსარგებლო ფორმალისგან და უფრო მეტად უახლოვდება რეალურ ცხოვრებას.³⁰

ისმის კითხვა: თუკი შესაძლებელია, ხელშეკრულება დაიდოს დუმილით ან კონკლუდენტურად, საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა, ხელშეკრულება დაიდოს ემოჯის მეშვეობითაც? შესწევს თუ არა ემოჯის ძალა, რომ ერთმნიშვნელოვნად გამოხატულ ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებაზე შეასრულოს აქცეპტის ფუნქცია? ამ საკითხთან დაკავშირებით, ემოჯის ბუნება ორი მიმართულებით

ითხოვს სამართლებრივ შეფასებას - პირველი, შეიძლება თუ არა ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეული წინაპირობების არსებობისას, ემოჯი ჩავთვალოთ ნების გამოვლენად და მეორე, საერთოდ, შეიძლება თუ არა, რომ ვისაუბროთ ემოჯიზე, როგორც ნების გამოვლენის ფორმაზე? იქნებ საფუძველშივე უნდა გამოვრიცხოთ ემოჯის, როგორც ნების გამოვლენის ფორმის დასაშვებობა, რის გამოც, უპირობოდ უნდა უარვყოთ მისი საშუალებით თუნდაც უმარტივესი გარიგების დადების შესაძლებლობაც კი? ფაქტია, რომ ჯერჯერობით არცერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ აღიარებს საკანონმდებლო დონეზე ემოჯის ნების გამოვლენის ფორმად, თუმცა სასამართლოები ზოგიერთ შემთხვევაში მას უკვე ანიჭებენ ნების გამოვლენის მნიშვნელობას.

სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - „სკ“) 54-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. საინტერესოა, ეწინააღმდეგება თუ არა ემოჯის ნების გამოვლენის ფორმად აღიარება საჯარო წესრიგის ნორმებს? ანუ, ბათილად ჩაითვლება თუ არა ემოჯის საშუალებით დადებული გარიგება? საჯარო წესრიგის დოქტრინა ბევრ ნორმა-პრინციპს მოიცავს, მათ შორის, სამართლებრივი სიცხადისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებს. სამართლებრივი სიცხადის პრინციპის მიზანია, კანონები იყოს მკაფიო, ანუ ნორმის ადრესატისთვის პროგნოზირებადი უნდა იყოს, თუ რა იურიდიული შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის კონკრეტულ ქმედებას. სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი კი ნორმის ადრესატებს გაუგებარი, ბუნდოვანი და ორაზროვანი კანონებისგან იცავს. ამ თვალსაზრისით, ემოჯ(ებ)ის ორაზროვანი ბუნება და მათი სუბიექტური აღქმადობა, აჩენს კითხვას, საერთოდ რამდენად შეიძლება საჯარო წესრიგმა ნამდვილად მიიჩნიოს ისეთი გარიგე-

²⁷ ბალიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ჭანტურია ლ., (რედ.), წიგნი III, თბ., 2019, მუხლი 329, ველი 5.

²⁸ იქვე, ველი 6.

²⁹ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 344.

³⁰ იქვე, 345.

ბა, რომელიც ნების გამომვლენის და ნების მიმღების მხოლოდ „ციფრულ ინტუიციზზე“ დაყრდნობით იდება? ვგულისხმობთ შემდეგს: თუკი ემოჯიები დღითიდღე სხვადასხვაგვარ სუბიექტურ მნიშვნელობებს იძენენ, მაშინ გამოდის, რომ ასევე, დღითიდღე იკლებს ადამიანთა მიერ ამ ციფრული სიმბოლოების ერთგვაროვანი აღქმაც. რა თქმა უნდა, ტრადიციული ფორმით ნების გამოვლენის შემთხვევაშიც შესაძლოა დადგეს ნების განმარტების საჭიროება, მაგრამ ეს ბუნებრივი მოვლენაა და არა სასამართლოსთვის ხელოვნურად გართულებული საქმე. საკითხავია, ემოჯიების მეშვეობით დადებული გარიგებების ნამდვილად აღიარება, ხომ არ წაახლისებს ადამიანთა წინდაუხედავ, უპასუხისმგებლო ქცევას, თუ დროა, სამართალმა თანდათან მიიღოს ის რეალობა, რომ ციფრულ სიმბოლოებს საბოლოოდ მაინც ვერ გაექცევა და იქნებ სჯობდეს, აქედანვე იზრუნოს მათ სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევაზე?

საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა:

მაგალითი 1:

- გამარჯობა ❤️ 6 აგვისტოს თავისუფლდება ბინა. თუ ისევ, დაინტერესებული ხართ ბინის დაქირავებით, შემოიძლია 7 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით მოგაქირავოთ ბინა, დღეში 100 ლარის ოდენობით. თუ თანახმა ხართ, 7 აგვისტოს გელოდებით, გთხოვთ, მაცნობოთ პასუხი.

- 👍 😊
- მშვენიერია 😊 🙌 🇯🇵

მაგალითი 2:

- ვებ-გვერდის შექმნა მინდა 20 სექტემბრამდე და თუ მოახერხებ, ხვალვე გადაგიხდი 15 000 ლარს. დიზაინი თუნდაც ყველაზე მარტივი და უბრალო, ამ ეტაპზე ძალიან მეჩქარება.

- 💰 🙌
- ძალიან კარგი 👍.

მსგავსი სახით ადამიანები ყოველდღიურად შედიან ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, ისე რომ ვერც კი აცნობიერებენ, რომ მათ შორის ვალდებულებები შესაძლოა მხოლოდ უბრალო გრაფიკული სიმბოლოს გამოყენებით წარმოიშვას. ამგვარი სახით ურთიერთობების წარმოება პრობლემას არ ქმნის მანამ სანამ რომელიმე მხარე უარს არ განაცხადებს ნაკისრი (?) ვალდებულების შესრულებაზე. ასეთ დროს საჭიროა დადგინდეს, საერთოდ დაიდო თუ არა მხარეთა შორის ხელშეკრულება და შესაბამისად, წარმოემვათ თუ არა მათ სახელშეკრულებო ვალდებულებები. ამის დასადგენად პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას: შესაძლებელია, თუ არა მონონების 👍, ხელის ჩამორთვევის 🙌 ან/და სხვა ემოჯიების აქცეპტად დაკვალიფიცირება? ამის დასადგენად აუცილებელია შეფასდეს, აკმაყოფილებს თუ არა ის აქცეპტისთვის დადგენილ პირობებს.³¹

აქცეპტი არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც ოფერენტის შეთავაზების მიღებით შედეგად იწვევს ხელშეკრულების დადებას. აქცეპტი შესაძლოა გამოიხატოს სიტყვიერად, წერილობით, კონკლუდენტური მოქმედებით და ზოგიერთ შემთხვევაში - დუმითაც.³² აქცეპტიდან არაორაზროვნად უნდა გამომდინარეობდეს პირის განზრახვა, რომ ის მზადაა, დადოს ხელშეკრულება ოფერტში მითითებული პირობებით.³³

ციფრული სიმბოლოსთვის, როგორც არავერბალური ვირტუალური კომუნიკაციის ფორმისთვის, სამართლებრივი მნიშვნელობის მინიჭების მიზანშეწონილობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის შედეგად, დიდი სიფრთხილით, უნდა დადგინდეს. ემოჯიებთან იურიდიული შედეგების დაკავშირება იმდენად კომპლექსური და ახალი საკითხია, რომ წინასწარ შეუძლებელია.

³¹ ემოჯის აქცეპტად მიჩნევის შესაძლებლობასთან დაკავშირებით იხ. ჯორბენაძე, სოციალური მედიის სამართალი, თბ., 2019, 96.

³² ბალიშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, ჭანტურია ლ., (რედ.), წიგნი III, თბ., 2019, მ.331, ველი 4.

³³ იქვე.

ლია ჩარჩო რეგულირების შემუშავება, რომელიც ასეთ შემთხვევებში სახელმძღვანელო წესი იქნებოდა. ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, ემოჯიებთან დაკავშირებული გადანაცვლებები ქართული რეალობისთვის უცხოა. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი საქმეში მტკიცებულების სახით ფიგურირებს ემოჯიების შემცველი მიმოწერა (ან მხოლოდ ემოჯიები) ან/და სოციალურ ქსელებში განთავსებული ემოჯიების შემცველი განცხადებები, რასაც მხარე სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს, სასამართლოს მოუწევს, შეაფასოს ეს ციფრული სიმბოლოები ტექსტთან ერთად ერთიან კონტექსტში ან დამოუკიდებლად. ემოჯიების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მთელი რიგი გარემოებები, მათ შორის: მხარეთა ასაკი, ურთიერთობის სიხშირე, ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება, მათ მიერ ემოჯიების გამოყენების პრაქტიკა როგორც ერთმანეთთან, ისე ზოგადად, მსგავსი ტიპის ურთიერთობებში, ასევე საჭიროა შეფასდეს, მხარეთა სუბიექტური აღქმა კონკრეტული ემოჯიების ან მათი ერთობლიობის მიმართ, ანუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი სიმბოლოს. მიუხედავად ვიზუალისა, ერთმნიშვნელოვანი შინაარსის მქონე ემოჯიებიც კი შესაძლოა ადამიანთა მიერ სხვადასხვაგვარად იყოს აღქმული და გამოყენებული.³⁴ ამდენად, აუცილებელია შეფასდეს, მთელი საუბრის შინაარსი, რა ვითარებაში მიმდინარეობდა მხარეთა შორის კომუნიკაცია, ასევე დასადგენია, რამდენად შეეძლო რომელიმე მხარეს იმის მიხედვით, რომ მოსაუბრე არ აღიქვამდა ადეკვატურად მის მიერ გაგზავნილ ემოჯიებს. ამას გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს სოციალურ, ინტელექტუალურ და ფსიქო-ემოციურ ფაქტორებსაც. გასათვალისწინებელია ის გარემოც და მისი კულტურულ-ეკონომიკური

მდგომარეობაც, სადაც მხარეები ცხოვრობენ. ემოჯის განმარტებისას საჭიროა დადგინდეს, ის უბრალო ემოციური დეკორაცია იყო, თუ მას საერთო კონტექსტიდან გამომდინარე ჰქონდა თავისთავადი მნიშვნელობა.

მაგალითი 3:

- 200 ლარად ჩემი ახალი ბინის ინტერიერის დიზაინს ერთ დღეში გამიკეთებ?
- OK 🙌❤️😂😂😂

მოცემულ დიალოგში, აშკარაა, რომ ნების ადრესატის პასუხი ირონიულია, რისი ვარაუდის საფუძველსაც იძლევა გასაწევი მომსახურების ანაზღაურების შეთავაზებული ოდენობა. შესაბამისად, შეუძლებელია, რომ ასეთი პასუხი გონივრული განსჯის შედეგად აღქმულ იქნეს აქცეპტად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ოფერენტისთვის პასუხი სრულიად ადეკვატური ჩანდეს. სერიოზულია თუ არა ნების გამოვლენის ადრესატის პასუხი, ეს მხოლოდ ციფრული სიმბოლოების მიხედვით არ უნდა შეფასდეს, საჭიროა მიმოწერის მთლიანი კონტექსტის შეფასება. სკ-ს 57-ე მუხლი აცხადებს, რომ ბათილია ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა. ნორმა ასევე ითვალისწინებს, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა იმის გამო, რომ ნების მიმღები ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ. როცა საქმე თანმყოფ პირებს შორის ვერბალურად გამოვლენილ ნებას ეხება, შედარებით ადვილია იმის დადგენა, ნების გამომვლენი პირი ნამდვილად ავლენს ნებას, თუ არასერიოზულად. გარემო, რომელშიც ნება გამოვლინდა, ნების გამო-

³⁴ მაგალითად, Gen Z თაობა 🧠 თავის ქალის ემოჯის, რომელიც გარდაცვალების სიმბოლოს შინაარსს ატარებს, იყენებს „სიცილით მოვკვდი“ მნიშვნელობით. ასევე Gen Z თაობისთვის ცრემლმდინარე სიცილის ემოჯი 😭 უკვე დაცინვასთან უფრო მეტად ასოცირდება, ვიდრე რაღაცაზე გულწრფელ სიცილთან. 🧐 სიმბოლო ზოგიერთისთვის მადლიერების გამოხატვალია, ზოგი კი მას დალოცვის ნიშნად იყენებს. ზოგიერთ კულტურაში 🙌 „OK“ ნიშანი შეურაცხყოფის გამოხატ-

ტველია. ❤️ გულის ემოჯი შესაძლოა ირონიის და ცინიზმის მნიშვნელობითაც იქნეს გამოყენებული, რაც კონტექსტის მიხედვით უნდა დადგინდეს. ამას გარდა, გულის ემოჯის ფერებიც სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია და თუკი ვილაცისთვის ისინი უბრალოდ ფერებია, სხვები ამ კონკრეტული ფერებით შეიძლება ადრესატის მიმართ შესაბამის ემოციურ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ. ასევე იხ. *Pendl, Emojis im (Privat-) Recht, 2022 Mohr Siebeck, 89-90.*

მვლენი პირის ინტონაცია და სხეულის ენა აადვილებს გამოვლენილი ნების ხასიათის შეცნობას. ასევე, უფრო მარტივი ხდება ნების მიმღების დროული ინფორმირება გამოვლენილი ნების არასერიოზულობის შესახებ, თუკი ნების გამომვლენი ხედავს, რომ ადრესატმა ნება სერიოზულად მიიღო. საქმე შედარებით რთულდება, როცა ნების გამოვლენა არათანმიოფ პირს მიემართება და მითუმეტეს ემოჯის სახით.

მაგალითი 4:

- თუ შეთავაზებას ეთანხმები, სალამომდე გამაგებინე, მზად ვარ თანხა დღესვე გადავიხადო.



როგორ უნდა მივიღოთ ეს ემოჯი - როგორც თანხმობა შეთავაზებაზე თუ როგორც ინფორმაციის მიღების და გაგების დადასტურება? ანუ უნდა ჩათვალოს თუ არა ოფერენტმა, რომ ხელშეკრულება უკვე დაიდო, თუ ეს ემოჯი უნდა მიიღოს იმის ნიშნად, რომ სალამომდე უნდა დაელოდოს პასუხს? სკ-ს 52-ე მუხლი ნების გამოვლენის განმარტების საკითხს არეგულირებს, რომლის მიხედვითაც ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. გააჩნია თუ ემოჯის „სიტყვასიტყვითი“ აზრი? როგორც დავინახეთ, მხარეთა ურთიერთობის მთლიანი ისტორიის გათვალისწინებით ემოჯი ხელშეკრულების დადებაზე თანხმობად ჩაითვალა. თუნდაც ერთი პრეცედენტის არსებობა აჩენს კითხვას: შესაძლოა თუ არა, რომ ემოჯი სამომავლოდ „პარალელურ ენად“ იქცეს და თუ ეს ასე მოხდება, მზად ვართ თუ არა იმ შესაძლო რეალობისთვის, რომ ემოჯიმ მხარესთან სამართლებრივად დაკავშირებული გაგებადოს?

თუკი ემოჯის მივანიჭებთ ძალას, რომ მხარე მასთან სამართლებრივად დაკავშირებული გავხადოთ, მაშინ თავისუფლად იქნება შესაძლებელი იმის მტკიცება, რომ ემოჯიმ ვალდებულებები შესაძლოა წინასახელშეკრულებო ეტაპზეც წარმოშვას. სკ-ს 317-ე მუხლი, რომელიც

ე.წ. *culpa in contrahendo* (ბრაღი წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში) შემთხვევას ეხება, ადგენს, რომ არა მხოლოდ ხელშეკრულება, არამედ ხელშეკრულების მომზადების პროცესიცი შესაძლოა, მხარეებს ერთმანეთის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულებას წარმოუშობდეს.³⁵ ასეთ დროს არაკეთილსინდისიერი მხარე პასუხს აგებს არა იმიტომ, რომ მან არ დადო ხელშეკრულება, არამედ იმის გამო, რომ მან თავისი ქმედებით გააჩინა ნდობა, რომელიც ბრაღეულად არ გაამართლა.³⁶ სწორედ ასე შეაფასა სასამართლომ *Dahan v Shacharoff* საქმე, სადაც ემოჯით გაჩენილი ნდობის გაუმართლებლობისათვის ემოჯის ავტორს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დააკისრა.

2. ემოჯიები საოჯახო სამართალში

სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც ემოჯიებთან დაკავშირებით განმარტებებს ვხვდებით, როგორც წესი, არ შეიცავენ ხოლმე თავად ამ ემოჯიების აღნიშვნებს, რაც მკითხველისთვის ართულებს იმის მიხვედრას, თუ რომელ ემოჯიზეა საუბარი; ამის გამო სასამართლოები ცდილობენ ემოჯიების შინაარსის აღწერით გახადონ ნათელი, თუ რომელ ემოჯის ეხება საქმე.³⁷ ცალკე აღებული ემოჯი, როგორც წესი, ვერ ატარებს იმ მტკიცებულებით ძალას, რომ მხოლოდ მას, სხვა მტკიცებულებებისგან დამოუკიდებლად, დაეფუძნოს სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა ემოჯის შესწევს უნარი, რომ სხვა გარემოებებთან ერთად გარკვეული როლი ითამაშოს სასამართლოს შეხედულების ჩამოყალიბებაში. მაგალითად, შლეზვიგის ადმინისტრაციულმა სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას გამოიტანა დასკვნა, რომ ალბანელ მამაკაცსა და გერმანელ ქალს შორის ქორწინება რეალური არ იყო და ის მხოლოდ ბინადრობის უფლების მოპოვებას ისახავდა მიზნად. სასამართლოს ეს რწმენა სხვა მტკიცებულებებთან ერთად, შეუქმნა წყვილს

³⁵ ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, *ჭანტურია ლ., (რედ.),* წიგნი III, თბ., 2019, მ.317, ველი 1.

³⁶ იქვე, ველი 36.

³⁷ *Pendl, Emojis im (Privat-) Recht*, 2022 Mohr Siebeck, 14.

შორის მიმონერამ, კერძოდ, ჩატში მამაკაცის მხრიდან არ იყო საკმარისი სასიყვარულო ემოჯიები, მაშინ როცა ქალის მხრიდან მუდმივად იგზავნებოდა მამაკაცთან სიყვარულით სავსე სიტყვები და ციფრული სიმბოლოები. ამის საპასუხოდ, მამაკაცის შეტყობინებები იყო მოკლე და ლაკონური, დაგვიანებით გაგზავნილი და არ შეიცავდა ემოჯიებს ან ნაზ სიტყვებს. სასამართლომ ეს კომუნიკაციური დისბალანსი ჩათვალია იმის ნიშნად, რომ მამაკაცს ქორწინების მიმართ რეალური ინტერესი არ ჰქონდა.³⁸

საინტერესოა *Bardales v. Lamothe* საქმეც, რომელიც შეეხებოდა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხს. დედა მცირეწლოვან შვილთან ერთად ჰონდურასიდან აშშ-ში გადავიდა. მამამ მოითხოვა, რომ ბავშვი მასთან დარჩენილიყო და დაიწყო შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები. მამა ცხოვრობდა ქალაქში, რომლის სახელიც იყო სან-პედრო სულა. ეს ქალაქი ერთდროს „მკვლელობათა დედაქალაქად“ იყო ცნობილი. სასამართლოს უნდა შეეფასებინა, გამოხატა თუ არა მამამ თანხმობა, ბავშვის აშშ-ში გადასვლასთან დაკავშირებით. ბავშვის დედა უთითებდა, რომ როცა მან ბავშვის მამას ბავშვთან ერთად მისი აშშ-ში გადასვლის შესახებ შეატყობინა, მან პასუხად მიიღო ემოჯი 🙄, რაც დედის მტკიცებით, გამოხატავდა ბავშვის მამის თანხმობას აშშ-ში ბავშვის წაყვანასთან დაკავშირებით. სასამართლომ არ გაიზიარა დედის არგუმენტი და განმარტა, რომ ემოჯი არ იყო საკმარისი საიმი-სოდ, რომ დაედასტურებინა მამის თანხმობა ბავშვის წაყვანასთან დაკავშირებით. სასამართლოს შეფასებით, ემოჯი ვერ ჩაითვლებოდა მშობლის მიერ ბავშვთან დაშორებაზე თანხმობის გამოხატულებად. ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულ საქმეებში სასამართლო მკაცრი ფორმალური სტანდარტებით ხელმძღვანელობს. ბატონი გოლდმანი ამ შემთხვევასთან დაკავშირებით წერს: „პრობლემა ის კი არ არის, რომ მოცემულ შემთხვევაში ემოჯის ფორმალურობა აკლდა, არამედ პრობლემა

იყო ის, რომ მიმონერის მთლიანი კონტექსტი არ იძლეოდა ბოლომდე იმის საშუალებას, რომ გაკეთებულიყო დასკვნა, რაზეც დედა უთითებდა.“³⁹

3. ემოჯიები სისხლის სამართალში

საინტერესოა ემოჯის, როგორც მტკიცებულების ხარისხი სისხლის სამართალში. ამ კუთხით აღსანიშნავია *State v. Nickell, 540 S.W.3d 863 (Mo. Ct. App. 2018)* საქმე⁴⁰, რომლის ფაბულაც იყო შემდეგი: ბრალდებული Facebook-ის სოციალურ ქსელში დაუმეგობრდა, მისი რწმენით, 13 წლის ბავშვს, სინამდვილეში კი ამ პროფილის უკან საგამოძიებო მოქმედებებში ჩართული დეტექტივი იყო. რამდენიმე თვიანი მიმონერის შემდეგ, ბრალდებულის არასრულწლოვანთან კომუნიკაცია გადაიზარდა სექსუალური ხასიათის მიმონერაში, რომელშიც ის აქტიურად იყენებდა ემოჯიებს. მას შემდეგ, რაც ბრალდებულმა მსხვერპლი შეხვედრაზე დაიყოლია, სამართალდამცავმა ორგანოებმა ის ადგილზე დააკავა. სასამართლო პროცესზე, მოსამართლემ მტკიცებულების სახით გამოაქვეყნა არასრულწლოვანთან ონლაინ მიმონერა, თუმცა ემოჯიები, რომლებიც ამ საუბრის ნაწილს წარმოადგენდა, ამოღებული იყო. დაცვის მხარემ ეს გააპროტესტა, მან მიუთითა „საუკეთესო მტკიცებულების წესზე“ და აღნიშნა, რომ ემოჯიების ჩართვა ამ მიმონერის გამოქვეყნებაში აუცილებელი იყო, რათა ნაფიც მსაჯულეებს სწორად აღექვათ მიმონერის შინაარსი, რამეთუ ემოჯიები სიტყვებთან ერთად ერთიან კონტექსტს ქმნიდა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა. საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლოს გადანყვეტილება ბრალდებულის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მიმონერიდან ემოჯიების ამოღებით, ამ მიმონერამ დაკარგა ავთენტური

³⁸ იქვე, 16.

³⁹ იხ. <<https://blog.ericgoldman.org/archives/2019/10/a-thumbs-up-emoji-doesnt-mean-that-dad-disavowed-his-child-bardales-v-lamothe.htm>> [04/09/2025].

⁴⁰ აღნიშნულ საქმესთან და შეფასებასთან დაკავშირებით იხ. *McMahon, Kirley, When Cute Becomes Criminal: Emoji, Threats and Online Grooming*, MINN. J. L. SCI. & TECH. 37 (2019), 85-87.

მტკიცებულების სახე, რის გამოც დაირღვა „საუკეთესო მტკიცებულების წესი“.⁴¹ სააპელაციო სასამართლომ უარყო მხარის საჩივარი, თუმცა მიზეზის დეტალური განმარტება არ მოუცია. აპელაციის განმხილველმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს არ დაურღვევია „საუკეთესო მტკიცებულების წესი“, თუმცა შეკითხვა იმის შესახებ, ემოჯიების გარეშე მიმონერის გამოქვეყნება არღვევს თუ არა ამ წესს, უპასუხოდ დარჩა. სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ემოჯიებს ნამდვილად შესწევთ ძალა, შეცვალონ სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობა, რა თვალსაზრისითაც მათ კონტექსტის შექმნა შეუძლიათ. ამდენად, შესაძლოა უკეთესი ყოფილიყო, თუკი სრულყოფილად იქნებოდა გამოქვეყნებული ბრალდებულსა და მსხვერპლს შორის არსებული მიმონერის ჩატი, თუმცა მიუხედავად ამისა, სასამართლოს შეფასებით, საქმის განმხილველი სასამართლოს მხრიდან მაინც არ დარღვეულა „საუკეთესო მტკიცებულების წესი“, რადგან დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია იმის მკაფიო მტკიცებულება, რომ ემოჯიები რადიკალურად ცვლიდა მიმონერის შინაარსს. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ემოჯიები ვერ შეცვლიდა დაზარალებულის მიმართ ბრალდებულის მიერ აშკარად სექსუალური ბუნების განცხადებებისა და მოთხოვნების შინაარსს.

მოცემული საქმის ანალიზიდან აშკარაა სასამართლოს მიდგომა ემოჯიების მიმართ: საჭიროა დამტკიცდეს ემოჯის, როგორც თავისთავადი დამოუკიდებელი მტკიცებულების რელევანტურობა იმისთვის, რომ ის სასამართლომ დაუშვას და იმსჯელოს მასზე ან, უნდა დადგინდეს ის, რომ მიმონერის მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით, ემოჯის ტექსტისთვის მნი-

შვნელობის არსებითად შეცვლა შეუძლია. როგორც ვხედავთ, მხოლოდ იმაზე მითითება, რომ მიმონერაში ემოჯიები იყო გამოტოვებული, არ აღმოჩნდა საკმარისი მომჩივნის სააპელაციო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. „საუკეთესო მტკიცებულების წესი“ სასამართლოს აძლევს საშუალებას, რომ მტკიცებულებად არ მიიღოს მასალა, რომელსაც არ გააჩნია მნიშვნელოვანი მტკიცებულებითი ღირებულება.

J.S. v. Grand Island Public Schools საქმეში⁴² ცეცხლის  და იარაღის  ემოჯი საერთო კონტექსტის გათვალისწინებით სერიოზული შეფასების საგანი გახდა. ერთ-ერთმა მოსწავლემ ანონიმურად დაპოსტა: „ხვალ ძალიან ცხელი დღე იქნება სკოლაში “.⁴³ ამას მოჰყვა სხვა ანონიმური პოსტი: „ხვალ არ მოხვდით სკოლაში “, თუმცა ამ პოსტთან კავშირი მომჩივანმა უარყო. ამ პოსტებმა სკოლაში დიდი არეულობა გამოიწვია. სკოლის დირექციამ ცეცხლის ემოჯის შემცველი პოსტის ავტორ მოსწავლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისრა და 15 დღით ჩამოაშორა სასწავლო პროცესს. მოსწავლემ ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა საბოლოოდ სკოლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა. მოსწავლემ აღიარა, რომ მან მართლაც დადო ეს პოსტი, თუმცა არა იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ის აღიქვას. მოსწავლის მტკიცებით, მას ამ პოსტით მხოლოდ იმის თქმა სურდა, რომ ხვალ სკოლაში ძალიან მაგარი და საინტერესო დღე იქნებოდა.

People v. Smith საქმეში⁴⁴ კალიფორნიის სასამართლომ მოწმის დაშინებად ჩათვალა ბრალდებულის მიერ გამოქვეყნებული ემოჯიების შემცველი პოსტი, კერძოდ, ბრალდებულმა გამოაქვეყნა მოწმის ფოტო კომენტარით, რომ

⁴¹ საუკეთესო მტკიცებულების წესთან დაკავშირებით იხ. Nance, "The Best Evidence Principle" (1988). Faculty Publications. 463.

⁴² იხ. Graham, Emojis: An Approach to Interpretation, 46 UC LAW SF COMM. & ENT. L.J. 123 (2024), 136-137.

⁴³ „Tomorrow gonna be hella fire [fire emoji] be there (School).“ hella fire ამერიკულ სლენგში ნიშნავს რაღაც ძალიან მაგარს, საინტერესოს, სენსაციურს, აფეთქებით საგნებს, რაც მოცემულ შემთხვევაში, ცეცხლის

ემოჯიმ კიდევ უფრო გაამძაფრა და შექმნა იმისი მოლოდინი, რომ რაღაც ძალიან მაგარი და დაძაბული მოხდებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა ცეცხლის ემოჯი საფრთხის შემცველ მინიშნებადაც იქნეს აღქმული.

⁴⁴ იხ. Graham, Emojis: An Approach to Interpretation, 46 UC LAW SF COMM. & ENT. L.J. 123 (2024), 141-142.

მესამე ფაქტორს წარმოადგენს მოპასუხის თანამშრომლობის საკითხი მოსარჩელესთან და უშუალოდ სასამართლოსთან. მაგალითად, რამდენად მიაწოდა დამსაქმებელმა კონკრეტული ინფორმაცია მოსარჩელეს მის მიმართ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ, რომლის ვალდებულებაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლია 1-ლი პუნქტის „ა“-ქვეპუნქტით გააჩნია. ასევე, დასადგენია ამავე კანონის მე-13 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მიაწოდა თუ არა ინფორმაცია იმ ლოგიკის საფუძვლების შესახებ, რომლითაც მოხდა ალგორითმის მიერ გადაწყვეტილების მიღება. ხომ არ თქვა მან უარი იქ დასაქმებული პირების შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე.⁷² მოთხოვნის შემთხვევაში რამდენად განემარტათ კანდიდატებს დასაქმებაზე უარის თქმის მიზეზი, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა მისი განმარტების ვალდებულებას არ უწესებს დამსაქმებელს.⁷³ ამასთანავე, მოსამართლემ უნდა გაარკვიოს ის ფაქტი, თუ რამდენად უწევდა დამსაქმებელი ზედამხედველობას ხელოვნურ ინტელექტს გადაწყვეტილების მიღების დროს და კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა ეს ზედამხედველობა. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში მიმდინარე ერთ-ერთ საკმეზე მოპასუხე მკაცრად მიუთითებდა იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხე-

ლოვნური ინტელექტი მხოლოდ მოსარჩელის შეფასებით შემოიფარგლებოდა, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება კი თავად მან მიიღო.⁷⁴ აღნიშნული განმარტება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ არ გაითვალისწინა და მიუთითა ხელოვნური ინტელექტის მიერ შედგის წინასწარ განსაზღვრულობის შესახებ, რის გამოც დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭა მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას.⁷⁵

ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის დროს მტკიცების ტვირთის შებრუნების გამარტივებას დამატებითი მნიშვნელობაც გააჩნია, რადგან ასეთ შემთხვევაში დამსაქმებლები განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩინენ ხელოვნური ინტელექტის შერჩევისა და გამოყენების პროცესში. ისინი წინასწარ შეამოწმებენ ალგორითმში შეტანილ ინფორმაციას, რათა არ გამოეპაროთ მასში მითითებული დისკრიმინაციული პრაქტიკა. დამსაქმებლისთვის იმის ცოდნა, რომ მასვე მოუწევს სასამართლოში ალგორითმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის დასაბუთება არის ერთგვარი გარანტია იმისა, რომ იგი დეტალურად გამოიკვლევს ხელოვნურ ინტელექტს და დარწმუნდება ალგორითმის გამართულად მუშაობაში. მოსალოდნელია, რომ დამსაქმებელი ასეთ პირობებში გამოიჩინს წინდახედულობას, რის გამოც მან შესაძლოა აუდიტიც კი ჩაუტაროს პროგრამას მის გამოყენებამდე, რათა შემდგომ გაუმარტივდეს სასამართლო პროცესზე ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობის დასაბუთება.⁷⁶ ეს ყოველივე კი, უზრუნველყოფს შრომით ურთიერთობებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით დისკრიმინაციული პრაქტიკის შემცირებას.

⁷² საკმეზე C-415/10 – Meister, ECJ-იმ დასაქმებულთა შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა ჩათვალა უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებად, დამსაქმებლისთვის მტკიცების ტვირთის შესაბრუნებლად.

⁷³ იქვე.

⁷⁴ C-634/21 - SCHUFA Holding (Scoring), CJEU, 7.12.2023.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ Lutz, Revisiting gender based discrimination in the algorithmic age, Briere/Crespy, Inequality And The European Union, Brussels, 2024, 31.

III. ხელოვნური ინტელექტის მიერ შრომით ურთიერთობებში განხორციელებულ დისკრიმინაციულ ქმედებაზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განსაზღვრა

როდესაც შრომით ურთიერთობაში დისკრიმინაცია წარმოიშობა ამ დროს აუცილებელია მოსამართლის მიერ დისკრიმინაციის ჩამდენ პირთა პასუხისმგებლობის დადგენა. შრომით ურთიერთობებში ხელოვნური ინტელექტის მიერ დისკრიმინაციული ქმედების განხორციელებისას უნდა დადგინდეს თუ რამდენად შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრება დამსაქმებლისთვის ან თავად პროგრამის შემქმნელი პირისათვის.

1. დამსაქმებლის პასუხისმგებლობა

დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დადგენა დიდ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი განზრახ ახორციელებს დასაქმებულის ან კანდიდატის დისკრიმინაციას, თუმცა მოცემულობა იცვლება მაშინ, როდესაც ალგორითმი დისკრიმინაციულ გადაწყვეტას ახორციელებს დამსაქმებლისგან დამოუკიდებლად, პროგრამის შემქმნელის ბრალეულობით ან თავად პროგრამის თვითგანვითარების უნარიდან გამომდინარე.⁷⁷ არც ის არის გამორიცხული, რომ „შავი ყუთის“ შემთხვევასთანაც გვექნება საქმე, რის გამოც ვერ დადგინდეს დისკრიმინაციის განხორციელების მიზეზი, შესაბამისად დამსაქმებლის ან პროგრამის შემქმნელის ბრალეულობა.⁷⁸

როდესაც სასამართლოში შედის სარჩელი შრომით დისკრიმინაციულ დავასთან დაკავშირებით, მოსარჩელის პირველ მოთხოვნას ყოვე-

ლთვის უნდა წარმოადგენდეს ქმედების დისკრიმინაციად აღიარება.⁷⁹ როგორც უკვე აღინიშნა, დისკრიმინაციის დასადგენად მოსამართლეს არ სჭირდება განზრახვის არსებობა.⁸⁰ ამ დროს მას შეუძლია ყურადღება გაამახვილოს შედეგის დისკრიმინაციულ ხასიათზე, რომელიც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს კონკრეტულ პირს.⁸¹ თუმცა, ქმედების დისკრიმინაციად აღიარება თავის თავში არ გულისხმობს ზიანის ანაზღაურებასაც, აღნიშნულთან დაკავშირებით მოსარჩელემ ცალკე უნდა დააყენოს მოთხოვნა.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმათა გამოყენება, რომელიც ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, ითხოვს დელიქტისათვის დამახასიათებელ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, როგორცაა: შედეგი, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მიზეზობრივი კავშირი და ბრალი.⁸²

შედეგის არსებობის დასადგენად აუცილებელია განისაზღვროს მიყენებული ზიანი. მხოლოდ ის ფაქტი, რომ დისკრიმინაცია ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელდა, არ წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ითხოვს შედეგად ზიანის არსებობას, რაც გულისხმობს როგორც მატერიალურ ზიანს, როგორცაა მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, კომპენსაციის მინიჭება, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და სხვა.⁸³ ასევე მორალურ ზიანს, რომელშიც იგულისხმება პირის ღირსების შელახვა ანდაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლა.⁸⁴ თუ სახეზე არ იქნება ზიანი, როგორც შედეგი ან თავად მოსარჩელე ვერ დაადასტურებს მის არსე-

⁷⁷ European Commission, Liability for Artificial Intelligence and other emerging digital technologies, 2019, 19.

⁷⁸ Berktaş, Feyzöglü, Regulating AI against Discrimination: Law in the Age of Artificial Intelligence, Kılıç/ Kahyaoglu, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, 2023, 60.

⁷⁹ სუსგ №1560-2018, 2020 წლის 30 აპრილის.

⁸⁰ Gerards, Xenidis, Algorithmic Discrimination in Europe: Challenges and opportunities for gender equality and non-discrimination law, Brussels, 2020, 67.

⁸¹ იქვე, 67.

⁸² სუსგ №15-277-2024, 2025 წლის 28 მარტი.

⁸³ შევლიძე, სამოქალაქო მოთხოვნათა ფარგლები შრომით დისკრიმინაციის დავისას, სადოქტორო ნაშრომი, თსუ, თბილისი, 2019, 131-132.

⁸⁴ იქვე, 135.

ბობას, მოსამართლე მოკლებული იქნება შესაძლებლობას დამსაქმებელს დაუდგინოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

მართლსაწინააღმდეგო ქმედების მხრივ, აუცილებელია დამსაქმებელმა დაარღვიოს გარკვეული ნორმები, რომელთა დაცვის ვალდებულება მას კანონით გააჩნია.⁸⁵ რა თქმა უნდა, კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერის დარღვევა შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, თუმცა როდესაც ამ ჩანაწერით გათვალისწინებულ ვალდებულებას არღვევს არა უშუალოდ დამსაქმებელი, არამედ ხელოვნური ინტელექტი, საჭირო ხდება დამსაქმებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედების უფრო სიღრმისეული განხილვა. დამსაქმებელს გააჩნია ვალდებულება ავტომატიზირებული მექანიზმის გამოყენებამდე დეტალურად შეამოწმოს იგი, განახორციელოს მასზე ზედამხედველობა, შეამოწმოს მასში შეტანილი მონაცემები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა რაც აუცილებელია სისტემის გამართულად მუშაობისათვის.⁸⁶ შესაბამისად, დამსაქმებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებად უნდა ჩაითვალოს არა ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, არამედ გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა, რომლითაც მას ევალებოდა გაეტარებინა ყველა შესაძლო ღონისძიება ალგორითმის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, მიღებულ გადაწყვეტილებაზე ზედამხედველობის განევა.⁸⁷ ასეთ დროს შე-

საძლებელია შეფასდეს ის თუ რამდენად საფუძვლიანად გაუწია დამსაქმებელმა ზედამხედველობა ხელოვნურ ინტელექტს, ჩაუტარა თუ არა აუდიტი ამ პროგრამას მის გამოყენებამდე, რამდენად ლიცენზირებული კომპანიისგან შეიძინა იგი, ჩაატარა თუ არა საცდელი კვლევა მის გამოყენებამდე და სხვა.

რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს, თუ მოსამართლე შეუდგება მის დადგენას ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებულ ქმედებასა და შედეგს შორის არსებული კავშირით, სავსებით შესაძლებელია, რომ მიზეზობრივი კავშირი ვერასდროს დადგინდეს ალგორითმის სირთულიდან გამომდინარე.⁸⁸ მაგრამ თუ სასამართლოში დაკმაყოფილდება პირველი მოთხოვნა ქმედების დისკრიმინაციულად აღიარებასთან დაკავშირებით, ამ დროს აღარ უნდა იყოს საჭირო ხელოვნური ინტელექტის ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა, არამედ საკმარისად უნდა ჩაითვალოს დამსაქმებლის წინდახედულობის ნორმათა დარღვევასა და შრომითი დისკრიმინაციიდან გამომდინარე დამდგარ მატერიალურ ან მორალურ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი. ამ დროს უნდა დადგინდეს დამსაქმებლის მიერ წინდახედულობის ნორმის დაუცველობა რამდენად იყო ობიექტურად საკმარისი იმისთვის, რათა ხელოვნურ ინტელექტს მიეღო დისკრიმინაციული გადაწყვეტილება და მოეხდინა პირთა უთანასწორო გადარჩევა.⁸⁹ თუმცა, როდესაც საქმე ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ეხება, ძალიან რთულია, იმის დადგენა

⁸⁵ სუსგ №ას-1633-2019, 2019 წლის 3 სექტემბერი.

⁸⁶ AI Act Regulation (EU) 2024/1689, Article 26. აღნიშნული რეგულაცია ვრცელდება როგორც ხელოვნური ინტელექტის შემქმნელ პირზე, ასევე თავად მის გამოყენებელზე, შესაბამისად დამსაქმებელზე. საქართველოში აღნიშნული რეგულაცია არ მოქმედებს, რადგან საქართველო ჯერ-ჯერობით არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, თუმცა ხელოვნური ინტელექტის ზედამხედველობის ვალდებულებასთან დაკავშირებით შესაძლებელია გავრცელდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

⁸⁷ დამსაქმებლის ან ნებისმიერი უფლებამოსილი პირის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება დაფუძნებულია მხარის განსაკუთრებულ ნდობაზე, მისი მაღალი რისკის ხასიათიდან გამომდინარე, შესაბამისად

რაც უფრო მაღალია დაინტერესებული მხარის ნდობის ხარისხი, მით უფრო მაღალია გულისხმიერების ქცევის სტანდარტი. იხ. კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, თბილისი, 2009, 92. და ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია (რედ), 2019, მუხლი 316, 25.

⁸⁸ სუსგ №ას-718-683-2015, 2015 წლის 9 სექტემბერი.

⁸⁹ სამოქალაქო საქმეებზე გამოიყენება ადეკვატური მიზეზობრიობის თეორია, დეტ იხ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი 3, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ჭანტურია/ზოიძე/წინიძე/შენგელია/ხეცურია (რედ) 2001, გვ. 369

მოახერხებდა თუ არა დამსაქმებელი წინდახედულობის ნორმათა დაცვის შემთხვევაში დისკრიმინაციული შედეგის თავიდან აცილებას, რაც თავის მხრივ, დიდ გამოწვევას წარმოადგენს მიზეზობრივი კავშირის დასადგენად.

რაც შეეხება ბრალს, იგი ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან სავსებით შესაძლებელია, რომ დამსაქმებელს არანაირი ბრალი არ მიუძღოდეს ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებულ დისკრიმინაციულ ქმედებაში.⁹⁰ რა თქმა უნდა, დამსაქმებლის განზრახი ან გაუფრთხილებლობით მოქმედების შემთხვევაში, მას დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუმცა როდესაც საქმე ეხება ხელოვნურ ინტელექტს და მისგან წარმოშობილ „შავი ყუთის“ შემთხვევასა და თვითგანვითარების უნარს, ურთულესია, დამსაქმებლის ბრალეულობის დადგენა.⁹¹ ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, წინდახედულობის ნორმათა დაცვა ყოველთვის არ უზრუნველყოფს დისკრიმინაციული შედეგის თავიდან აცილებას. სწორედ ამიტომ, დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია, მკაცრი პასუხისმგებლობის ნორმათა შემოღება, როგორსაც იცნობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1003-ე მუხლები, სატრანსპორტო საშუალების გამოყენებასთან და ცხოველის მიერ მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით. ისინი აღქმულია როგორც მაღალი რისკის საფრთხის წყარო, რის გამოც ბრალის არსებობა არ წარმოადგენს პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობას.⁹²

ხელოვნურ ინტელექტი, რომელსაც შეუძლია მიღებული გადაწყვეტილებით ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა, საქართველოს კანონმდებლობით მიჩნეულ უნდა იქნას მაღალი საფრთხის წყაროდ, რასაც ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობა.⁹³ ევროკავშირმა მიიღო დირექტივა, რომლითაც ხელო-

ვნური ინტელექტით გამოწვეულ ზიანზე მკაცრი პასუხისმგებლობის პირობები გაავრცელა, რის გამოც ევროკავშირის სასამართლოსთვის აღარ არის საჭირო ბრალეულობის დადგენა, დელიქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის.⁹⁴ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის პირობებში კი პირთა პასუხისმგებლობის დასადგენად აუცილებელია მათი ბრალეულობის დადგენაც, რაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ასეთ პირობებში დამსაქმებელს ან პროგრამის შემქმნელ პირს შეიძლება გაუჩნდეთ სურვილი ყოველგვარი მკაცრი კონტროლის გარეშე შექმნან ან გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი, ისე რომ სამართალდარღვევის არსებობის პირობებში ჰქონდეთ დაუსჯელობის განცდა. სწორედ ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა თუ საქართველოშიც შეიქმნებოდა ევროკავშირის მსგავსი ნორმა, რომლითაც ხელოვნური ინტელექტით გამოწვეულ ზიანზე მკაცრი პასუხისმგებლობის პირობები გავრცელდებოდა.

2. პროგრამის შემქმნელის პასუხისმგებლობა

ინტერესს იწვევს ის საკითხიც, თუ რამდენად შეუძლია კანდიდატს ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს დისკრიმინაციის არსებობის შემთხვევაში პირდაპირ მიმართოს სასამართლოს არა დამსაქმებლის, არამედ ხელოვნური ინტელექტის შემქმნელი კომპანიის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მაგალითად, აშშ-ში ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეში, „Mobley vs Workday“ შშმ პირმა, რომელსაც საკმაოდ კარგი განათლება და გამოცდილება ჰქონდა, დასაქმების მიზნით 100-ზე მეტ ვაკანსიაზე გააგზავნა საკუთარი რეზიუმე, თუ-

⁹⁰ მაგ: „შავი ყუთის“ შემთხვევა, როდესაც ხელოვნური ინტელექტი ავლენს თვითგანვითარების უნარს. დაწვრ. იხ: Berktaş, Feyzoglu, Regulating AI against Discrimination: Law in the Age of Artificial Intelligence, Kılıç/Kahyaoglu, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, 2023, 60.

⁹¹ იქვე, 60.

⁹² სუსგ №ას-182-2025. 2025 წლის 14 მაისი.

⁹³ დოკუმენტის სრული სახ. Document 32024L2853, რომელიც მოიცავს DIRECTIVE (EU) 2024/2853 და Council Directive 85/374/EEC.

⁹⁴ იქვე.

მცა დროის უმოკლეს მონაკვეთში ყველა მათგანისგან მიიღო უარყოფითი პასუხი.⁹⁵ საქმეზე დადგინდა, რომ თითოეული დამსაქმებელი იყენებდა მოპასუხის ხელოვნურ ინტელექტს რეზიუმეთა გადასარჩევად. მოპასუხემ ჩათვალა, რომ 100-ზე მეტი ვაკანსიიდან მისი გამოცდილებისა და განათლების გათვალისწინებით ვერ მიიღებდა უარყოფით პასუხს, რომ არა მისი შეზღუდული შესაძლებლობა და ალგორითმის მიკერძოებული გადაწყვეტილება.⁹⁶ სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო, რომლის განხილვაც დღემდე მიმდინარეობს. მოსარჩელემ გამოიყენა აგენტების თეორია, რომლის მიხედვითაც ხელოვნური ინტელექტის შემქმნელი კომპანია მიიჩნია პრინციპალად, რომელმაც კანდიდატთა შერჩევის უფლებამოსილება დელეგირებით გადასცა აგენტს, კონკრეტულად კი ხელოვნურ ინტელექტს.⁹⁷ აღნიშნული არგუმენტი გაითვალისწინა სასამართლომ და დაიწყო კომპანიის მიმართ სამართალწარმოება. შესაბამისად, მოსამართლემ დევლოპერი კომპანია სათანადო მოპასუხედ მიიჩნია.⁹⁸

რაც შეეხება ევროკავშირისა და საქართველოს „Racial Equality Directive“-ის მე-2 და მე-15 მუხლით, ისევე როგორც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 და მე-10 მუხლებით, დისკრიმინაციის აკრძალვისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ დამსაქმებელზე, არამედ სხვა კომპანიებზეც, რომლებსაც შეუძლიათ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ადამიანთა დისკრიმინაცია. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის შემქმნელი კომპანიის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა არ უნდა წარმოადგენდეს რაიმე პრობლემას სათანადო მოპასუხის დადგენის კუთხით. თუმცა, რთულია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დაეკისრებათ მათ დისკრიმინაციისათვის პასუხისმგებლობა, ვინაიდან მიუხედავად ხელოვნური

ინტელექტის მიერ მიღებული დისკრიმინაციული გადაწყვეტილებისა, საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც თავად დამსაქმებელი იღებს, რომელსაც აქვს ვალდებულება ზედამხედველობა გაუწიოს ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და ბოლომდე არ დაეყრდნოს ალგორითმს, რაც გათვალისწინებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით, ისევე როგორც, „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ (GDPR)-ის 22-ე მუხლით. ასეთ დროს, პრობლემურია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ალგორითმის მიერ მიღებულ დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებასა და დამდგარ ზიანს შორის, რადგან მიზეზობრივი კავშირის ერთიანობა ირღვევა დამსაქმებლის ვალდებულებით ზედამხედველობა გაუწიოს ხელოვნურ ინტელექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და მანვე მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.⁹⁹

სასამართლოში ამგვარი საქმის შესვლის შემთხვევაში, მოსამართლემ უნდა დაადგინოს რამდენად საკმარისი იყო ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დისკრიმინაციული შედეგის დასადგომად. თუმცა, მიუხედავად მიზეზობრივი კავშირის დადგენის სირთულისა, მისი დადგენა შეუძლებლად მაინც არ უნდა იქნას მიჩნეული, ვინაიდან ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, ხელოვნური ინტელექტის მიერ წინასწარ მიღებულ გადაწყვეტილებას უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რის გამოც იგი ძირითად გადაწყვეტილებად მიიჩნია, ხოლო ადამიანის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება კი სიმბოლურ დატვირთვად აღიქვა.¹⁰⁰ სწორედ ამიტომ, ის თუ როგორ განმარტავს და დაასაბუთებს მოსამართლე მიზეზობრივ კავშირს მასზეა დამოკიდებული, თუმცა მან თითოეული ფაქტობრივი გარემოება დეტალურად უნდა შეაფასოს და განსაზღვროს ზედამხედველობის

⁹⁵ Sethupathy, Workday Lawsuit Over AI Resume Screening Bias, 06.08.2025. ბოლოს შემოწმდა 09.09.2025. <https://fairnow.ai/workday-lawsuit-resume-screening/>

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ იქვე.

⁹⁸ იქვე.

⁹⁹ Özçelik, Who is Liable for AI-Induced Discrimination, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, Kılıç/ Kahyaoglu, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, 2023, 144.

¹⁰⁰ C-634/21 - SCHUFA Holding (Scoring), CJEU, 7.12.2023.

განხორციელების შესაძლებლობა და მისი ფარგლები.

შესაძლებელია, რომ მოსარჩელემ სარჩელი აღძრას როგორც დამსაქმებლის ასევე ხელოვნური ინტელექტის შემქმნელი კომპანიის წინააღმდეგ, რა დროსაც დამსაქმებელმა შესაგებებელში მიუთითოს ხელოვნური ინტელექტის შემქმნელის პასუხისმგებლობაზე, სისტემის გაუმართაობიდან გამომდინარე, ხოლო დეველოპერმა კომპანიამ კი აქცენტი გააკეთოს დამსაქმებლის პასუხისმგებლობაზე, როგორც საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ ვალდებულ პირზე. ასეთ დროს, მოსამართლეს შეუძლია გამოიყენოს სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი და მიყენებული ზიანისთვის სოლიდარული პასუხისმგებლობა დააკისროს ორივე მოპასუხეს.

IV. შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად ხელოვნური ინტელექტის კონტროლის მექანიზმების არსებობის აუცილებლობა

ხელოვნური ინტელექტი, რომელიც გამოიყენება დამსაქმებლის მიერ შრომით ურთიერთობებში გარკვეული გადაწყვეტილებათა მისაღებად, საჭიროებს საკანონმდებლო რეგულირებას დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული რეგულირების ფარგლებში გამოსარჩევია რამდენიმე მექანიზმი, რომელთა შემოღებაც მინიმალურ დონემდე შეამცირებს ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებულ დისკრიმინაციას.

ერთ-ერთ ასეთ მექანიზმს წარმოადგენს საკანონმდებლო დონეზე აუდიტის ჩატარების ვა-

ლდებულების შემოღება.¹⁰¹ მაგალითად, ნიუ-იორკის შტატში, დამსაქმებელს აქვს ვალდებულება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამდე სათანადოდ ჩაატაროს აუდიტი და მიღებული დასკვნიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება შრომით ურთიერთობებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ.¹⁰² აღნიშნული მექანიზმი იძლევა ერთგვარ გარანტიას, რომ იგი სათანადოდ იქნება შემოწმებული და მასში გამოვლენილი ხარვეზების მიმართ გატარებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა გარეშეც პრაქტიკაში შეიქმნებოდა დისკრიმინაციის გამოვლენის რეალური საფრთხე.¹⁰³ აუდიტის ჩატარების აუცილებლობა იძლევა ერთგვარ სიმშვიდის საშუალებას როგორც დამსაქმებლისთვის, ასევე თავად კანდიდატისთვის ან დასაქმებული პირისთვის, რომელთა მიმართაც ხდება მისი უშუალოდ გამოყენება. დამსაქმებელს შეუძლია უფრო თამამად გამოიყენოს აღნიშნული საშუალება ისე, რომ არ ჰქონდეს გაუმართავი პროგრამით გადაწყვეტილების მიღების შიში, რომელიც შეიძლება გახდეს მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. თავის მხრივ, პროგრამის აუდიტით შემოწმების შემთხვევაში, კანდიდატს ან დასაქმებულ პირს მიეცემა შესაძლებლობა უფრო მეტი ნდობა ჰქონდეთ ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ.¹⁰⁴

ხელოვნური ინტელექტის კონტროლის მხრივ, ერთ-ერთ მექანიზმად შესაძლებელია შემოღებულ იქნას სერტიფიცირებული პროდუქტის გამოყენების მოთხოვნა.¹⁰⁵ დღეს, უამრავი ხელოვნური ინტელექტი და ალგორითმი იქმნე-

¹⁰¹ Nzama-Sithole, Managing Artificial Intelligence Algorithmic Discrimination: The Internal Audit Function Role, Kılıç/ Kahyaoğlu, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, 2023, 203-205.

¹⁰² NYC Local Law 144-21 and Algorithmic Bias.

¹⁰³ Nzama-Sithole, Managing Artificial Intelligence Algorithmic Discrimination: The Internal Audit Function Role, Kılıç/ Kahyaoğlu, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, 2023, 203-205.

¹⁰⁴ Employinc, Report Reveals Candidates' Perspectives on Using AI in the Hiring Process, 24.06.2025. ბოლოს შემოწმდა 27.07.2025.

https://www.employinc.com/news_item/report-reveals-candidates-perspectives-on-using-ai-in-the-hiring-process/

¹⁰⁵ ასეთი სერტიფიცირების რეკომენდაცია არის შემოთავაზებული ევროპარლამენტში, სადაც მაღალი რისკის ხელოვნური ინტელექტის მიმართ სავალდებულო, ხოლო დაბალი რისკის შემთხვევაში არასავალდებულო სერტიფიცირების აუცილებლობაა გათვალისწინებული. დეტ. იხ. annex to the european parliament resolution of 20 october 2020 text proposal for a regulation on ethical principles for ai robotics and related technologies.

ბა, ასეთ პირობებში წარმოუდგენელია არსებობდეს რაიმე გარანტია თითოეული მათგანის გამართულად მუშაობასთან დაკავშირებით, შესაბამისად შესაძლებელია საკანონმდებლო დონეზე აღნიშნულ პროგრამათა შემქმნელს დაუწესდეს სერტიფიკატის აღების მოთხოვნა, ხოლო დამსაქმებელს კი მხოლოდ სერტიფიცირებული პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცეს, რომელთა გაკონტროლება უნდა დაევალოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს.¹⁰⁶ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე სერტიფიკატის გაცემის წესები უნდა დამტკიცდეს საკანონმდებლო აქტით, რომელთა გაცემა უნდა მოხდეს მისი სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ. ასეთ პირობებში იარსებებს უფრო მეტი გარანტია ხელოვნური ინტელექტის გამართულად მუშაობის შესახებ.

მიუხედავად ხელოვნური ინტელექტის კონტროლისთვის ზემოთ აღნიშნული რეგულაციების შემოღების აუცილებლობისა, რთულად წარმოსადგენია, რომ ის საკმარისი იყოს ხელოვნური ინტელექტის გამართულად მუშაობის უზრუნველსაყოფად ადამიანის სათანადო კონტროლის გარეშე. სწორედ ამიტომ, აუცილებელია შრომის კოდექსში პირდაპირი ჩანაწერის არსებობა ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ ადამიანური ზედამხედველობის აუცილებლობის შესახებ.¹⁰⁷ აღნიშნული ვალდებულების გარკვეული ჩანაწერი არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის“ მე-19 მუხლში, რომლის მიხედვითაც პერსონალურ მონაცემთა ავტორს შეუძლია არ დაეყრდნოს მხოლოდ სისტემის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს გარკვეულწილად წარმოშობს მისი ზედამხედველობის ვალდებულებას, თუმცა სასურველია გაკეთდეს პირდაპირი ჩანაწერი მისი გამოყენებისას პროგრამის ზედამხედველობის

აუცილებლობის შესახებ, სადაც გარკვევით ჩაინერგება ზედამხედველობის მიზანი, დისკრიმინაციის აკრძალვის აუცილებლობა და ის ფაქტები რომელშიც მოხდება მისთვის ზედამხედველობის განევა. მაგალითად, ევროკავშირის მიერ ხელოვნური ინტელექტის შესახებ მიღებული დირექტივაში პირდაპირ არის გაკეთებული ჩანაწერი მსგავსი ზედამხედველობის განევის ვალდებულების თაობაზე.¹⁰⁸ შესაბამისად, მაღალი რისკის შემცველი ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, დირექტივა არ იძლევა მხოლოდ ალგორითმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობის შესაძლებლობას.¹⁰⁹ ვინაიდან საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არის შემოღებული ხელოვნური ინტელექტის დარეგულირების შესახებ კანონმდებლობა, შესაძლებელია საქართველოს შრომის კოდექსში გაიწეროს გარკვეული ნორმები, რაც მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნული საკითხის დასარეგულირებლად.

ხელოვნური ინტელექტის კონტროლი შეუძლებელია გამჭირვალობის ვალდებულების არსებობის გარეშე, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის ნდობის ჩამოსაყალიბებლად.¹¹⁰ გამჭირვალობის ვალდებულებაში დეტალურად უნდა გაიწეროს კანდიდატთა და დასაქმებულთა სათანადო ინფორმირების ვალდებულება, მათ მიმართ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უნდა გაკეთდეს თვალნათლივ, ვაკანსიის აღწერაში ან წესდებაში, შესამჩნევ ადგილას, რომელთა გაგებაც მარტივად იქნება შესაძლებელი ნებისმიერი პირისთვის. ასევე, შრომის კოდექსში უნდა იყოს მითითებული მისი გამოყენების მიზნების, გამომყენებლისა და აუდიტორის ვინაობის, მიღებული გადაწყვეტილების რისკებისა და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოყენებული იქნება გადაწყვეტილების მისაღებად.¹¹¹

¹⁰⁶ Nikolinakos, EU Policy and Legal Framework for Artificial Intelligence, Robotics and Related Technologies - The AI Act, Athens, 2023, 298-299.

¹⁰⁷ ევროკავშირის კანონმდებლობაში უკვე არსებობს მსგავსი ჩანაწერი, დეტ. იხ. EU AI Act is Regulation (EU) 2024/1689, Article 14.

¹⁰⁸ იქვე.

¹⁰⁹ იქვე.

¹¹⁰ Sinha, Dunbar, Artificial intelligence and its regulation in the European Union, Kılıç/ Kahyaoglu, Algorithmic Discrimination and Ethical Perspective of Artificial Intelligence, 2023, 6.

¹¹¹ იქვე, 5-9.

ასევე, შრომის კოდექსში შესაძლებელია ჩაინეროს დასაქმებულებთან კონსულტაციის გავლის ვალდებულება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამდე, მათთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, რაც გაზრდის აღნიშნული პროგრამის მიმართ დასაქმებულთა ნდობას.

ერთი შეხედვით, ავტომატიზირებული გადაწყვეტილების ზედამხედველობისა და ხელოვნური ინტელექტის გამჭვირვალობის ვალდებულება უკვე არის გათვალისწინებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში, თუმცა აღნიშნული ნორმა აქცენტს აკეთებს მხოლოდ პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე და არა მათ შრომით უფლებებზე. შრომის კოდექსში მოცემულ ნორმათა შემოღებით კი შესაძლებელი იქნება აქცენტის მთლიანად შრომით ურთიერთობებზე გადატანა. ამასთანავე, ეს ნარმოშობს კოლექტიური დაცვის უფლებას და ხელოვნურ ინტელექტზე შრომითი ინსპექციის ზედამხედველობის განევის შესაძლებლობას. მოცემულ დარღვევათა არსებობის შემთხვევაში კი შესაძლებელი იქნება შრომით-სამართლებრივი დავის წარმოება, რომელიც პირდაპირ იქნება დაფუძნებული შრომის კოდექსში არსებულ ნორმებზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ შრომის კოდექსში ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის აკრძალვისა და მისი მაკონტროლებელი მექანიზმების შესახებ ნორმათა შემოღებით, უფრო დეტალურად მოხდება აღნიშნული საკითხის დარეგულირება. ნორმათა დაცვის ფუნქცია კი პირდაპირ იქნება მიმართული შრომით ურთიერთობებში კანდიდატთა და დასაქმებულთა დაცვისკენ.

დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის მიერ გამოწვეული შრომითი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა არამხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს გამოწვევად უნდა იქნას მიჩნეული, რომელიც საჭიროებს სათანადო ღონისძიებათა გატარებას, აღნი-

შნული საკითხის დასარეგულირებლად. მნიშვნელოვანია საქართველოში გათვალისწინებული იყოს ის თანამედროვე მიდგომები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატების კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში. ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მიყენებულ ზიანზე მკაცრი პასუხისმგებლობის ნორმის შემოღება, რომლითაც მარტივად მოხდება პირთა მიმართ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება.

ხელოვნურ ინტელექტზე მკაცრი კონტროლის დაწესების მიზნით, მიზანშეწონილია, შრომის კოდექსში გათვალისწინებულ იქნას ნორმა მასზე სავალდებულო აუდიტის ჩატარების შესახებ. ამასთანავე, დისკრიმინაციის დამატებითი პრევენციისთვის მაღალი რისკის ხელოვნური ინტელექტის მიმართ, სასურველია, სერტიფიცირების ვალდებულების დაწესება, რაც უზრუნველყოფს ხელოვნურ ინტელექტთა მკაცრ კონტროლს. მნიშვნელოვანია, შრომით კანონმდებლობაში აისახოს ხელოვნური ინტელექტით განხორციელებულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით ჩანაწერი, რომლის აღმოსაფხვრელად გათვალისწინებული იქნება ადამიანური ზედამხედველობის განევა და განისაზღვრება ზედამხედველობის ფარგლები. ამასთანავე, შრომის კოდექსში მიზანშეწონილია შემოღებულ იქნას ნორმა, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ხელოვნური ინტელექტის გამჭვირვალობის ვალდებულება, რომელიც დეტალურად იქნება განერილი კანონმდებლობაში.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, სასურველია ხელოვნური ინტელექტის მიერ განხორციელებული დისკრიმინაციის დასადგენად მოსამართლეთა მხრიდან დაბალი მტკიცებულებათა სტანდარტის დაწესება, დამსაქმებლისთვის მტკიცების ტვირთის შესაბრუნებლად, ვინაიდან ალგორითმის სირთულიდან გამომდინარე, შესაძლებელია მოსარჩელემ ვერ შეძლოს სასამართლოში მყარი მტკიცებულებების წარდგენა, რის გამოც ვერ მოხდეს ქმედების დის-

კრიმინაციად კვალიფიცირება. ყოველივე ამან
კი ხელი შეუწყო ხელოვნური ინტელექტის მე-

შვეობით დასაქმებულთა და კანდიდატთა მიმა-
რთ დისკრიმინაციული პრაქტიკის განვითარე-
ბას.

Coase's Theorem: A Pathway to a Controlled Economy

Gocha Okreshidze

Attorney, JSD Candidate, University of Illinois Urbana-Champaign

Introduction

"Socialist central planning introduced into England now by peaceful parliamentary process — if it could be so introduced — would, there is every reason to believe, make an enormously better showing than its Russian exemplar. ... If, then, it were in the writer's power to direct his country's destiny, he would accept, for the time being, the general structure of capitalism; but he would modify it gradually."

— Arthur C. Pigou¹

An intellectual history of modern economic thinking cannot be fully articulated without accounting for the influence of Ronald H. Coase. A preeminent twentieth-century British economist,

Coase is best known for his seminal contributions to the economic theory of the firm.² For lawyers, however, Coase is primarily recognized for his 1960 paper *The Problem of Social Cost*.³ The publication has since become the most cited law review article in modern American legal tradition.⁴ Coase himself claimed in his 1991 Nobel Prize autobiographical sketch that "it is probably the most widely cited article in the whole of modern economic literature."⁵

Despite this success, the paper is widely misunderstood. Coase himself complained that "[m]y

¹ ARTHUR C. PIGOU, *SOCIALISM VERSUS CAPITALISM* 136–137 (1948). In *Socialism Versus Capitalism*, Pigou weighs the strengths and weaknesses of both systems, comparing how they address income distribution, incentives, efficiency, and unemployment. He argues that capitalism — grounded in private ownership — can spur innovation but often produces inequality, while socialism — based on collective ownership — may reduce inequality yet struggles with incentives and large-scale planning. He explores the trade-offs and the possibility of combining their strengths for the public good.

² Ronald H. Coase, *The Nature of the Firm*, 4 *ECONOMICA* 386 (1937); Richard A. Posner, *Nobel Laureate: Ronald Coase and Methodology*, 7 *JOURNAL OF ECONOMIC PERSPECTIVES* 195, 197 (1993).

³ Ronald H. Coase, *The Problem of Social Cost*, 3 *JOURNAL OF LAW AND ECONOMICS* 1 (1960).

⁴ The title comes from Fred Shapiro's citation studies. In 1985, he set out to compile "a list of the most-cited law review articles of the last forty years." Fred Shapiro, *The Most-Cited Law Review Articles*, 73 *CALIFORNIA LAW REVIEW* 1540, 1540 (1985). He initially excluded Coase's paper as not purely legal, though it "without question would have qualified" had the *Journal of Law and Economics* been indexed by Shepard's. *Id.* In 1996, Shapiro's updated study included Coase's 1960 article as "the runaway citation champion," with "almost twice as many citations as any other law-related article." Fred Shapiro, *The Most-Cited Law Review Articles Revisited*, 71 *CHICAGO-KENT LAW REVIEW* 751, 759 (1996). Shapiro's 2012 third edition again placed Coase's paper first. Fred Shapiro & Michelle Pearse, *The Most-Cited Law Review Articles of All Time*, 110 *MICHIGAN LAW REVIEW* 1483 (2012).

⁵ <https://www.nobelprize.org/prizes/economic-sciences/1991/coase/biographical/> (last visited November 29, 2025).

point of view has not in general commanded assent, nor has my argument, for the most part, been understood.”⁶ One commentator even went so far as to argue that “[s]omething like a dozen people in the world understand that the ‘Coase’ theorem is not the Coase theorem. ... One of this select group is Ronald H. Coase himself, so I suspect we blessed few are right.”⁷

The Coase Theorem states that “in the absence of transaction costs, it does not matter what the law is, since people can always negotiate⁸ without cost to acquire, subdivide, and combine rights whenever this would increase the value of production.”⁹ It is designed for an ideal world, without any explicit suggestion “what general conclusions about economic policy, if any, [Coase] expects us to draw from it.”¹⁰ Legal literature is of little help either, as Coase’s treatment “is usually ... fragmentary, often involving little more than a reference ... plus some explanatory comment, [as if to suggest] that detailed examination would be inappropriate.”¹¹ Coase himself recognized this when he wrote that “the discussion has largely been devoted to sections III and IV of the article and even here has concentrated on the so-called ‘Coase Theorem,’ neglecting other aspects of the analysis.”¹²

This turned out to be a mistake, as reducing Coase’s analysis to a formulaic representation effectively removed eight other chapters from consideration.¹³ Perhaps this is why Coase is usually portrayed as an anti-government, free-market libertarian, when in fact he worked for governments his entire life. A close reading of the text of *The Problem of Social Cost* reveals that Coase advocated for a state-run economic system, in which private ownership is eradicated and all factors of production belong to the government.¹⁴

Adam Smith

“It is very difficult to know where one’s ideas come from.”
— Ronald H. Coase¹⁵

The themes central to Ronald Coase’s scholarship can be traced back to Adam Smith’s *The Wealth of Nations*, which was published in 1776. As Coase noted, “during the two centuries since the publication of *The Wealth of Nations*, the main activity of economists has been to fill the gaps in Adam Smith’s system, to correct his errors, and to make his analysis vastly more exact.”¹⁶ However, Coase distanced himself from the idealized models that dominated the field, describing them as “the world of modern economic

⁶ RONALD H. COASE, *THE FIRM, THE MARKET AND THE LAW* 1 (1988).

⁷ Deirdre McCloskey, *Other Things Equal: The So-Called Coase Theorem*, 24 *EASTERN ECONOMIC JOURNAL* 367, 368 (1998).

⁸ Coase suggests that the idea of parties transacting to maximize value may trace to Edgeworth’s “contract curve”: two individuals exchanging goods will end up on the contract curve because, otherwise, further exchanges remain that would make both better off. COASE, *supra* note 6 at 160; FRANCIS Y. EDGEWORTH, *MATHEMATICAL PSYCHICS: AN ESSAY ON THE APPLICATION OF MATHEMATICS TO THE MORAL SCIENCES* 21–27 (1881); WILLIAM S. JEVONS, *THE THEORY OF POLITICAL ECONOMY* 103–110 (2nd ed. 1879).

⁹ COASE, *supra* note 6 at 14.

¹⁰ Coase, *supra* note 3 at 39.

¹¹ *Id.*

¹² COASE, *supra* note 6 at 15.

¹³ Of course, Coase’s paper “is not like ... a modern textbook with a few simple messages which, once absorbed, makes a rereading unnecessary.” Ronald H. Coase, *The Wealth of Nations*, 15 *ECONOMIC INQUIRY* 309, 309 (1977).

¹⁴ RONALD H. COASE & NING WANG, *HOW CHINA BECAME CAPITALIST* (2012).

¹⁵ Ronald H. Coase, *Law and Economics and A. W. Brian Simpson*, 25 *JOURNAL OF LEGAL STUDIES* 103, 106 (1996). There, Coase responds to Guido Calabresi’s wry labels — “young socialist named Ronald Coase” and “middle-aged libertarian.” Guido Calabresi, *The Pointlessness of Pareto: Carrying Coase Further*, 100 *YALE LAW JOURNAL* 1211, 1211 (1991). Calabresi later argued that “lawyer-economists are, on the whole, more suited to the job of doing Law and Economics than latter-day institutional economists.” GUIDO CALABRESI, *THE FUTURE OF LAW AND ECONOMICS: ESSAYS IN REFORM AND RECOLLECTION* 11 (2016).

¹⁶ <https://www.nobelprize.org/prizes/economic-sciences/1991/coase/lecture/> (last visited November 29, 2025).

theory, one which I was hoping to persuade economists to leave.”¹⁷

Coase's analysis differs from the classical model in two major ways: (1) the free-market economy is replaced with a state-run planned economy; and (2) private property is replaced with state-granted rights to perform specific activities.

Free-Market Economy

In his Nobel Prize lecture, Coase clarified that “a principal theme of *The Wealth of Nations* was that government regulation or centralized planning was not necessary for an economic system to function in an orderly way.”¹⁸ The main advantage of markets is that “the national dividend, in given circumstances of demand and supply, tends ‘naturally’ to a maximum.”¹⁹ However, Coase believes that “if self-interest does promote economic welfare, it is because human institutions have been devised to make it so.”²⁰

At the heart of the free-market idea beats the famous ‘invisible hand.’ Adam Smith formulated the concept of the ‘invisible hand’ in the context of restraints on imports, although he mentioned the principle in an earlier publication as well. In *The Wealth of Nations*, Smith argued that “[an individual] generally ... neither intends to promote the public interest, nor knows how much he is promoting it. By preferring the support of domestic to that of foreign industry, he intends only

his own security; and by directing that industry in such a manner as its produce may be of the greatest value, he intends only his own gain, and he is in this, as in many other cases, led by an invisible hand to promote an end which was no part of his intention.”²¹

In his earlier work, *The Theory of Moral Sentiments*, published in 1759, Smith argued that the rich, driven by self-interest and luxury, distribute resources to the poor through labor and consumption, which also unintentionally advances societal welfare as if guided by an “invisible hand”. There he writes that “[t]he rich only select from the heap what is most precious and agreeable. They consume little more than the poor, and in spite of their natural selfishness and rapacity, though they mean only their own conveniency, though the sole end which they propose from the labours of all the thousands whom they employ be the gratification of their own vain and insatiable desires, they divide with the poor the produce of all their improvements. They are led by an invisible hand to make nearly the same distribution of the necessaries of life, which would have been made, had the earth been divided into equal portions among all its inhabitants, and thus, without intending it, without knowing it, advance the interest of the society, and afford means to the multiplication of the species.”²²

For Smith, this arrangement was both more democratic and more efficient, as he viewed government intervention with skepticism. After

¹⁷ COASE, *supra* note 6 at 174.

¹⁸ <https://www.nobelprize.org/prizes/economic-sciences/1991/coase/lecture/> (last visited November 29, 2025).

¹⁹ ARTHUR C. PIGOU, *WEALTH AND WELFARE* 104 (1912); See citation in Coase, *supra* note 3 at 29.

²⁰ Coase, *supra* note 3 at 29.

²¹ ADAM SMITH, *AN INQUIRY INTO THE NATURE AND CAUSES OF THE WEALTH OF NATIONS* 423 (Edwin Cannan ed., 1937).

²² ADAM SMITH, *THE THEORY OF MORAL SENTIMENTS* 350 (1759). In this passage, Smith suggests that the “invisible hand” leads to an outcome resembling what an equal distribution of the earth and its resources would produce. Coase likewise highlights wealth as central to consumer choice. In *The Marginal Cost*

Controversy, he argues that a functioning price system must first address “how much money each individual consumer shall have” — “the problem of the optimum distribution of income and wealth” — before turning to “the optimum system of prices.” Ronald H. Coase, *The Marginal Cost Controversy*, 13 *ECONOMICA* 169, 172 (1946). Stewart Schwab makes a similar point in criticizing the invariance thesis: whether parties trade legal entitlements depends on relative valuations, but valuation turns on willingness and ability to pay — and thus on wealth. Stewart Schwab, *Coase Defends Coase: Why Lawyers Listen and Economists Do Not*, 87 *MICHIGAN LAW REVIEW* 1171, 1178 (1989).

claiming that the public good is no part of the intention of a market participant led by an invisible hand, Smith argues that “[n]or is it always the worse for the society that it was no part of it. By pursuing his own interest he frequently promotes that of the society more effectually than when he really intends to promote it. I have never known much good done by those who affected to trade for the public good. ... What is the species of domestic industry which his capital can employ, and of which the produce is likely to be of the greatest value, every individual, it is evident, can, in his local situation, judge much better than any statesman or lawgiver can do for him. The statesman, who should attempt to direct private people in what manner they ought to employ their capitals, would not only load himself with a most unnecessary attention, but assume an authority which could safely be trusted, not only to no single person, but to no council or senate whatever, and which would nowhere be so dangerous as in the hands of a man who had folly and presumption enough to fancy himself fit to exercise it.”²³

Private Property System

Unlike Coase, in Smith’s system, the factors of production are owned privately by individuals. Property rights are regarded as a foundational element of organized human life, comparable to the institution of the family. As Smith writes “[t]he most sacred laws of justice, therefore — those

whose violation seems to call loudest for vengeance and punishment — are the laws which guard the life and person of our neighbor; the next are those which guard his property and possessions; and last of all come those which guard what are called his personal rights, or what is due to him from the promises of others.”²⁴

Property thus was traditionally distinguished from more limited personal rights to perform certain activities. Blackstone explains that “rights may be subdivided into those which concern and are annexed to the persons of men, and are termed *jura personarum*, the rights of persons; or into such as a man may acquire over external objects, which are entitled *jura rerum*, the rights of things.”²⁵

Coase blurred this traditional distinction and “obscure[d] the nature of the choice that has to be made.”²⁶ When interference with a neighbor’s property occurs, the judge should not focus on whether interference exists, but rather on whether the neighbor, as the owner, has the right to prevent the emission. In effect, this implies that ownership no longer automatically includes the absolute power to exclude all intrusions from one’s property.²⁷ According to the new system, it seems that new rights can constantly be created with respect to the same land or other property, and as a result, the entire system of private property rights has been obscured and, ultimately, eroded.²⁸

Arthur Pigou

²³ SMITH, *supra* note 21 at 423.

²⁴ SMITH, *supra* note 22 at 184.

²⁵ WILLIAM BLACKSTONE, COMMENTARIES ON THE LAWS OF ENGLAND 36 (Hardcastle Browne ed., 1897).

²⁶ Coase, *supra* note 3 at 2.

²⁷ Traditionally — including in many civil-law systems — servitudes such as rights of way were treated as narrow exceptions to otherwise absolute ownership, justified only as minimally necessary adjustments to environmental constraints. A right of way, for instance, was typically granted only when needed to reach public roads or essential networks (e.g., utilities). Even

then, self-created necessity was barred: an owner who destroyed his own access could not claim a right of way over a neighbor’s land. LADO TCHANTURIA, COMMENTARY OF CIVIL CODE OF GEORGIA 110–111 (1999); LADO TCHANTURIA, COMMENTARY OF CIVIL CODE OF GEORGIA 109 (2018). Supreme Court of Georgia, №9-378-05, 02/06/2005; Supreme Court of Georgia, №AS-218-909-03, 05/11/2003; Supreme Court of Georgia, №AS-815-763-2017, 11/01/2018.

²⁸ The Coase Theorem’s capacity to gradually dismantle private ownership and expose property to external encroachment is

Arthur C. Pigou was a towering figure in British economics, serving as the Professor of Political Economy at the University of Cambridge where he succeeded Alfred Marshall.²⁹ He is best known for his seminal work, *The Economics of Welfare* (1920),³⁰ and his contributions to the field of welfare economics.³¹ In it, Pigou analyzed the distinction between private and social products using the concept of externalities, proposing corrective measures like taxes and subsidies to align private incentives with the public good. It was this framework that Ronald Coase targeted forty years later, presenting *The Problem of Social Cost* as a direct counter-argument to the necessity of Pigou's state-centered solutions.

Pigou's scholarship emerged from the recognition that while free markets are powerful engines of prosperity, they are not infallible. Ideally, the free market maximizes the national dividend; however, as Coase himself acknowledges, citing and agreeing with Pigou "even in the most advanced states ... there are many obstacles that prevent a community's resources from being distributed ... in the most efficient way."³²

For Pigou, the defining objective of welfare economics was to identify and address these specific failures. He viewed the discipline not as an abstract theoretical exercise, but as a practical instrument for social improvement. As he explains, "[t]he study of these [failures] constitutes our present problem ... its purpose is essentially practical. It seeks to bring into clearer light some of the ways in which it now is, or eventually may become, feasible for governments to control the

play of economic forces in such wise as to promote the economic welfare, and through that, the total welfare, of their citizens as a whole."³³

Consequently, the friction between Coase and Pigou is not a disagreement over whether markets fail, but rather a disagreement over the remedy. Contrary to Coase's later characterization, Pigou did not reflexively advocate for government intervention in every instance. He recognized that in some cases, contractual improvements or private negotiations were possible.³⁴ However, whether through state action or private arrangement, his overarching goal remained "to discover whether any improvements could be made in the existing arrangements which determine the use of resources."³⁵

To fully grasp the divergence between the two economists, it is necessary to examine two aspects of Pigou's analysis that are especially relevant to Coase's critique: (1) the definition of welfare economics, which for Pigou was a much broader concept than the narrow economic analysis Coase employs, and (2) the theory of externalities, which, in Coase's reformulated framework, ceases to be a systemic deficiency per se.

Welfare Economics

For Pigou, welfare is a broader concept that encompasses all aspects of human life, not just economic considerations measurable by the price mechanism. He writes that "[i]f I am asked 'What is good?' my answer is that good is good, and that is the end of the matter. Or, if I am asked 'How is good to be defined?' my answer is that it cannot

best illustrated in Robert C. Ellickson, *Of Coase and Cattle: Dispute Resolution among Neighbors in Shasta County*, 38 STAN. L. REV. 623 (1986).

²⁹ Ronald H. Coase, *The Appointment of Pigou as Marshall's Successor*, 15 JOURNAL OF LAW AND ECONOMICS 473 (1972).

³⁰ ARTHUR C. PIGOU, *WELFARE ECONOMICS* (1920).

³¹ Pigou published *Wealth and Welfare* in 1912. *The Economics of Welfare* was published in 1920, and the 4th edition that Coase references in his paper was published in 1932.

³² Coase, *supra* note 3 at 29.

³³ *Id.*; PIGOU, *supra* note 30 at 129–130.

³⁴ ARTHUR C. PIGOU, *THE ECONOMICS OF WELFARE* 129–130 (4th ed. 1932); See citation in Coase, *supra* note 3 at 29.

³⁵ Coase, *supra* note 3 at 28.

be defined, and that is all I have to say about it. Welfare means the same thing as good. It, too, cannot be defined, in the sense of being analyzed. At the same time, we can say, and indeed, it is the chief task of ethics to say, whether, and in what way, particular things belong to welfare.”³⁶

General welfare is not synonymous with ‘economic welfare’ and is more concerned with states of consciousness. It focuses solely on an individual’s internal mental or emotional experiences rather than external material things or physical conditions.³⁷ Pigou explains that “[o]f welfare in general, economic welfare is one part. It is welfare arising in connection with the earning and spending of the national dividend, or, in other words, of those parts of the community’s net income that enter easily into relation with the measuring rod of money. Economic welfare, however, does not contain all welfare arising in this connection. ... It does not include the whole psychic return, which emerges when the objective services constituting the national dividend have passed through the factory of the body; includes only the psychic return of satisfaction. Thus, economic welfare is, as it were, a part of a part of welfare theory.”³⁸

Coase discusses only the economic side of this problem, however he explicitly (but by no means clearly) underscores the necessity of developing the remaining part of the welfare analysis. He writes that “[i]n this article, the analysis has been confined, as is usual in this part of economics, to comparisons of the value of production, as measured by the market. But it is, of course, desirable

that the choice between different social arrangements for the solution of economic problems should be carried out in broader terms than this and that the total effect of these arrangements in all spheres of life should be taken into account. As Frank H. Knight has so often emphasized, problems of welfare economics must ultimately dissolve into a study of aesthetics and morals.”³⁹

Pigou points out the difficulties involved in demarcating the line between welfare considerations measurable by the price mechanism and the more aesthetic aspects of life, which cannot be easily quantified. Although Pigou states that “the range of our inquiry becomes restricted to that part of social welfare that can be brought directly or indirectly into relation with the measuring-rod of money,”⁴⁰ he also emphasizes that it is “not, indeed, possible to separate it in any rigid way from other parts.”⁴¹ Here, Pigou refers to Edwin Cannan, who argued that “[t]he exact phrase used does not really matter very much, since we must face, and face boldly, the fact that there is no precise line between economic and non-economic satisfactions, and therefore the province of economics cannot be marked out by a row of posts or a fence like a political territory or a landed property. We can proceed from the undoubtedly economic at one end of the scale to the undoubtedly non-economic at the other end without finding anywhere a fence to climb or a ditch to cross.”⁴²

